დანართი №1

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტი

საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
“ფიზიკური აღზრდა და სპორტი (მწვრთნელი)”

სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
6 დეკემბერი

დასკვნის წარდგენის თარიღი
09 იანვარი

თბილისი

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ 4

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა 5

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან 9

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა 9

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა 16

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა 22

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა 26

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები 33

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	205304357
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ხათუნა საგანელიძე, ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ლევან მჭედლიძე, ინტერის აკადემია, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამარ გვიანიშვილი, შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნანა ფირცხელანი, შპს კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად)	**ფიზიკური აღზრდა და სპორტი (მწვრთნელი)**
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად)	Physical Education and Sport (Coach)
უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	სპორტის მაგისტრი Master of Sports
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	სპორტი 1014
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება [3]	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ავტორიზებული N 402809, 22.05.2020
პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)	-

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

3 მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ[4]**

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „ფიზიკური აღზრდა და სპორტი (მწვრთნელი)“ ხორციელდებოდა ავტორიზებილ რეჟიმში (უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება N 402809, 22.05.2020).

2021 წლის 16 თებერვალს, რექტორის ბრძანების თანახმად, შეიქმნა პროგრამის აკრედიტაციისთვის მოსამზადებელი სამუშაო ჯგუფი, რის შედეგადაც დაიწყო პროგრამის და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის მოყვანის პროცესი.

პროგრამის ხელმძღვანელის და აკადემიური პერსონალის ერთობლივი მუშაობის შედეგად, მოდიფიცირდა პროგრამა და სილაბუსები.

წარმოდგენილი პორგრამის ხანგრძლივობა ოთხი სემესტრია და მოიცავს 120 ECTS-ის კრედიტს (1 კრედიტი = 25 საათი), რომელიც სტრუქტურირებულია შემდეგნაირად:

84 კრედიტი - ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები;
6 კრედიტი - ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები;
10 კრედიტი - პრაქტიკა სპეციალიზაციაში;
20 კრედიტი - სამაგისტრო ნაშრომი.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც წარმატებით დაძლევს საერთო სამაგისტრო გამოცდებს და უსდ-ს მიერ განსაზღვრულ შიდასაუნივერსიტეტო გამოცდას (გარდა კანონმდებლობით დადგენილი შემთხვევებისა). მაგისტრანტობის კანდიდატი უსდ-ს მიერ განსაზღვრულ გამოცდაში/გამოცდებში მონაწილეობის უფლებას მოიპოვებს იმ შემთხვევაში, თუ ის საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის ოთხი ნაწილიდან რომელიმე სამ ნაწილში მაინც გადალახავს მინიმალური კომპეტენციის ზღვარს.

დაწესებულების მიერ განსაზღვრული შიდა საუნივერსიტეტო გამოცდებია: გამოცდა სპეციალობაში და ინგლისურ ენაში -

- გამოცდა სპეციალობაში ტარდება ზეპირი ფორმით;
- ინგლისურ ენაში გამოცდა ტარდება ტესტირების გზით. მინიმალური გადასალახი ზღვარია 51%. ტესტი არის B2 დონის. მაგისტრანტობის ის კანდიდატები, რომლებიც წარმოადგენენ ინგლისური ენის B2 დონეზე ფლობის დამადასტურებელ სერტიფიკატს (FCE, TOEFL, IELTS) – თავისუფლდებიან გამოცდისაგან. გამოცდის ჩაბარებისგან თავისუფლდებიან ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულებიც.

პროგრამაზე საერთო სამაგისტრო გამოცდის გავლის გარეშე ჩარიცხვა „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანების შესაბამისად.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

[4] პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ბრძამების (MES 1 22 0001432660, 09/11/2022) თანახმად, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის (თავმჯდომარე: ხ. საგანელიძე, წევრები: ლევან მჭედლიძე, თ. გვიანიშვილი, ნ. ფირცხელანი) ვიზიტი განხორციელდა 2022 წლის 6 დეკემბერს. ვიზიტის დღის წესრიგით გათვალისწინებული შეხვედრები მიმდინარეობდა მშვიდ სამუშაო გარემოში, დაწესებულების მხრიდან გამოხატული იყო თანამშრომლობის მზაობა და კეთილგანწყობა. დამატებითი გამოთხოვილი დოკუმნეტაციის მოწოდება ხდებოდა შეფერხების გარეშე. ინტერვიუების დროს დაწესებულების მხარე იჩენდა თანამშრომლობით დამოკიდებულებას, პროგრამის ხელმძღვანელი ამომწურავად აწვდიდა ექსპერტთა ჯგუფს პროგრამასთან დაკავშირებულ ინფორმაციას. განსხვავებულ მისამართზე მდებარე ბიბლიოთეკის დათვალიერება და თანამშრომელთა ინტერვიუ ჩატარდა ონლაინ რეჟიმში.

ექპერტთა ჯგიფუს მიერ ნანახი იქნა პროგრამისთვის განხორციელებისთვის საჭირო სპორტული მოედნები და იქ განთავსებული ინვენტარი.

ვიზიტის დროს, გასაუბრებისას, ადმინისტრაციულმა და აკადემიურმა პერსონალმა ისაუბრა დაწესებულების სასწავლო შენობების ირგვლივ არსებულ პრობლემეზე და მათ მოგვარების საკითხებზე.

ვიზიტის დღის წესრიგით გათვალისწინებული შეხვედრების შემდგომ, ექსპერტთა ჯგუფმა შეაჯამა მიგნებები და გააცნო დაწესებულების წარმომადგენლებს.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

სტანდარტი 1. (საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა) - **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.**

სტანდარტი 2. (სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა) - **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან მოთხოვნებთან.**

სტანდარტი 3. (სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა) - **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან მოთხოვნებთან.**

სტანდარტი 4. (სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა) - **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.**

სტანდარტი 5. (სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები) - **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.**

- **რეკომენდაციები**

1. რეკომენდირებულია სასწავლო კურსის „სპორტის ბიომექანიკა“ ადრეულ სემესტრებში შესწავლა;
2. სასწავლო კურსში „სპორტის ფსიქოლოგია“ შესაბამისობაშია მოსაყვანი კურსის მიზანი და შედეგები, შინაარსის მიხედვით განსაზაზღვრია კრედიტების და საათების რაოდენობა;
3. რეკომენდირებულია აკადემიური პეროსონალის მხრიდან სასწავლო კურსის სწავლის შედეგების შეფასების რელევანტური მეთოდების შერჩევა;
4. რეკომენდირებულია პერსონალის საერთაშორისო ტრენინგების და გადამზადების უფრო მეტად ხელშეწყობა დაწესებულების მიერ, საერთაშორისო პროექტებში ჩართვა, გამოცდილების გაზიარება და ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების განხორციელება;
5. რეკომენდირებულია პროგრამის განხორციელების აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით

სტაბილური უზრუნველყოფა, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

6. პროგრამის ფინანსური მდგრადობისთვის, რეკომენდირებულია სტუდენტების მოზიდვის კამპანიის განხორციელება და საგრანტო პროექტებში მონაწილეობა.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

  - სასურველია სწავლის შედეგებში ჩანდეს მწვრთნელისთვის აუცილებელი კომპეტენცია „სპორტსმენთა წვრთნის, ფიზიკური კონდიციის და მიღწევების მონიტორინგისთვის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების ცოდნა და უნარი“, რომელიც კურსდამმთავრებულს ხდის კონკურენტუნარიანს საერთაშორისო ბაზარზე;
  - მიზანშეწონილია გადაიხედოს უნიფიცირებული კრედიტების და საათების რაოდენობა და მათი განაწილება სასწავლო კურსების სილაბუშებში;
  - სასურველია დაემატაოს სასწავლო კურსი, რომელიც სტუდენტს მისცემს ცოდნას და უნარებს სპორტულ წვრთნაში გამოყენებული თანამედროვე დიგიტალური ტექნოლოგიების შესახებ;
  - რამდენიმე სასწავლო კურსის სავალდებულო ლიტერატურა მოითხოვს განახლებას;
  - სასურველია სწავლების და შეფასების მრავალფეროვანი და თანამედროვე მეთოდების ინტეგრირება სწავლების პროცესში;
  - სასურველია პროგრამის წარმომადგენლებმა შეიმუშაონ ის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ სამომავლოდ სტუდენტების მეტად ჩართულობას პროგრამის თვითშეფასების, დახვეწისა და გაუმჯობესების პროცესებში;
  - სასურველია სამომავლოდ პროგრამის წარმომადგენლების აქტიური ხელშეწყობით, გაიზარდოს საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში, კონფერენციებში და კვლევით პროექტებში პროგრამის სტუდენტთა ჩართულობის მაჩვენებლი.
  - პროგრამის ფინანსური მდგრადობისთვის, რეკომენდირებულია სტუდენტების მოზიდვის კამპანიის განხორციელება და საგრანტო პროექტებში მონაწილეობა.
  - მიზანშეწონილია პროგრამის გარე შეფასება განხორციელდეს არა საერთო გამოკითხვის ფორმატში, არამედ მიზნობრივი ჯგუფების, მათ შორის დარგის სპეციალისტების, მიერ ინდივიდუალურად, რაც უზრუნველყოფს მიღებული შეფასებების ვალიდურობას.
  - მიზანშეწონილია საგანმანათლებლო პროგრამის გარე შეფასება განხორციელდეს არამხოლოდ საქართველოს, არამედ უცხოეთის უსდ-ების დარგის სპეციალისტების მიერ, რაც ხელს შეუწყობს პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობას და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარების შესაძლებლობას.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)[5]**

  არ არის.

- **ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე**

  დასკვნის პროექტის გაცნობისას, უსდ-ს მიერ შემუშავებული იქნა არგუმნეტირებული პოზიცია, სადაც დაწესებულება აღნიშნავს, რომ იზიარებს რეკომენდაციებს და რჩევებს, გარკვეული აქტივობები განხორცილედა ვიზიტის შემდგომ და თვალსაჩინოა უნივერსიტეტის მზაობა სამომავლო განვითარებისათვის. დასკვნის პროექტს არ განუცდია რაიმე სახის ცვლილება და წარმოდგენილია საბოლოო დასკვნის სახით.

[5] პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის

- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

  არ არის.

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

დაწესებულების მისიას წარმოადგენს საქართველოში სამოყვარულო და პროფესიული სპორტის განვითარების ხელშეწყობა ფიზიკური აღზრდისა და სპორტული წვრთნის, სპორტის მენეჯმენტისა და ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის სფეროში ღრმა კომპეტენციის მქონე სპეციალისტების მომზადების გზით, რისთვისაც იგი, როგორც ეროვნულ, ისევე საერთაშორისო დონეზე შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით, ახორციელებს აკადემიურ საგანმანათლებლო პროგრამებს და გამოყენებით სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას, ხელს უწყობს სტუდენტების ჰარმონიულ განვითარებას და მათ სწრაფ ადაპტაციას შრომით ბაზარზე. დაწესებულება სრულად აცნობიერებს სოციალური პასუხიმგებლობის მნიშვნელობას, მათ შორის მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს საქართველოს მოსახლეობაში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას.

დაწესებულების 2020-2026 წლებზე გათვლილ სტრატეგიულ ხედვას წარმოადგენს:

- „ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე სპორტის უნივერსიტეტი გახდება სასპორტო განათლების სფეროში გამორჩეული და პრესტიჟული უმაღლესი სასწავლებელი;
- სპორტის უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ქართველი და უცხოელი სტუდენტებისათვის ინოვაციური სწავლების მეთოდებზე დაყრდნობით, მაღალი ხარისხის განათლების ხელმისაწვდომობას;
- სპორტის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა უმრავლესობა კონკურენტუნარიანია საერთაშორისო დასაქმების ბაზარზე;
- საქართველოში სპორტის სფეროში წამყვან პოზიციებზე დასაქმებული პირების უმრავლესობა სპორტის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულია;
- სპორტის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის გამოყენებითი სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომები აღიარებულია ეროვნული და საერთაშორისო კვლევითი ინსტიტუციების მიერ;
- სპორტის უნივერსიტეტი ასოცირდება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან, რომელიც ხელს უწყობს ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას საზოგადოებაში;
- სპორტის უნივერსიტეტი ხელს უწყობს ქვეყნის ცნობადობის მოპოვებასა და შემდგომში დადებითი იმიჯის დამკვიდრებას საერთაშორისო არენაზე. იზიდავს და ეფექტიანად ინარჩუნებს მაღალკვალიფიციურ ადამიანურ რესურსებს, ხელს უწყობს მათ პროფესიულ განვითარებასა და თვითრეალიზებას, ინტერნაციონალიზაციის პროცესში აქტიური ჩართულობით ახალისებს აკადემიურ და სტუდენტურ მობილობას;
- სპორტის უნივერსიტეტის სტუდენტები და კურსდამთავრებულები მაღალი სამოქალაქო პასუხისმგებლობის მქონე, ქვეყნის განვითარებაზე ორიენტირებული ადამიანები არიან“.

ზემოთ აღნიშნილიდან გამომდინარე, დაწესებულების მიერ შემუშავებული და აკრედიტაციაზე წარდგენილია პროგრამა, რომლის მიზანი თანხვედრაშია დაწესებულების მისიასთან, მიზნებთან და

სტრატეგიულ გეგმასთან - პროგრამის მიზანს წარმოადგენს დარგის სათანადო ცოდნითა და გამოცდილებით აღჭურვილი მაღალკვალიფიციური მწვრთნელების მომზადება, რომელთა კომპეტენცია და კვლევითი უნარები უზრუნველყოფს მათ კონკურენტუნარიანობას, დასაქმების როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო შრომით ბაზარზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში;
- დაწესებულების მისია, ხედვა, ღირებულებები;
- დაწესებულების სტრატეგიული გეგმა;
- დაწესებულების ვებ-გვერდი.

რეკომენდაციები

- არ არის.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.1 პროგრამის მიზნები	☒	☐	☐	☐

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამაში წარმოდგენილია 8 ძირითადი შედეგი, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებული და ემსახურება პროგრამის მიზნის მიღწევას.

1. კრიტიკულად გაიაზრებს მაღალი კვალიფიკაციის სპორტსმენებთან სწავლებისა და წვრთნის პრინციპების, საშუალებებისა და მეთოდების კომპლექსური გამოყენების ასპექტებს; გეგმავს და აორგანიზებს მაღალი კვალიფიკაციის სპორტსმენებთან მეცადინეობის, შეჯიბრებისა და სასწავლო-საწვრთნელი შეკრების ჩატარებას - ჰიგიენური მოთხოვნების და საწვრთნელი თუ საშეჯიბრო უსაფრთხოების საკითხების გათვალისწინენის ფონზე; კრიტიკულად გაიაზრებს სპორტის მართვის საკითხებს.
2. შეიმუშავებს და ადგენს მაღალი კვალიფიკაციის სპორტსმენთან მუშაობის რაციონალურ მიდგომებს, სპეციალიზაციასა და მომიჯნავე დისციპლინებში (ფსიქოლოგია, ფიზიოლოგია, ბიომექანიკა, ფიტნესი და ა.შ.) არსებული ღრმა სპორტ-სპეციფიკური თეორიული ცოდნის გათვალისწინებით.
3. აანალიზებს საერთო და სპეციალური ფიზიკური მომზადების ურთიერთდამოკიდებულების ასპექტებს, მაღალკვალიფიციურ სპორტსმენებთან წვრთნის პროცესში; არჩევს ამ მიზნით ეფექტურ ვარჯიშებს და მიზანმიმართულად იყენებს მათ.

4. ადგენს მაღალი კვალიფიკაციის სპორტსმენთათვის განკუთვნილ მოკლე და გრძელვადიან საწვრთნელ გეგმებს, სპორტსმენის მომზადების სხვადასხვა მხარის გათვალისწინებით (ფიზიკური, ტექნიკური, ტაქტიკური, ფსიქოლოგიური და თეორიული); სპორტის ამორჩეულ სახეობაში განმარტავს და კრიტიკულად იაზრებს სპორტული წვრთნის პერიოდიზაციის ძირითად, საკვანძო საკითხებს. განიხილავს სასწავლო-საწვრთნელი პროცესის დაგეგმვის, აღრიცხვისა და ანალიზის მეთოდებს.
5. სამსაჯო წესებისა და უსაფრთხოების ასპექტების გათვალისწინებით, მეთოდურად სწორად ახდენს სპორტის არჩეული სახეობის ყოველი ტექნიკური მოქმედების, ასევე ღრმა კომბინაციური სტილის და ტაქტიკური მონახაზების დემონსტრირებას და/ან მათი სწავლების სხვადასხვა მეთოდით გადაცემას (მაგ. სიტყვიერი მეთოდის ან სასწავლო ვიდეოჩანაწერების დახმარებით და სხვა).
6. სპორტის არჩეულ სახეობაში აანალიზებს წამყვანი სპორტსმენების/გუნდების საშეჯიბრო მოღვაწეობის ამსახველ ვიდეოჩანაწერებს; კრიტიკულად გაიაზრებს მათი წარმატების თუ წარუმატებლობის განმაპირობებელ ფაქტორებს.
7. ატარებს საწვრთნელ მეცადინეობას, მაღალი კლასის სპორტსმენებს აძლევს დავალებებს მათი ასაკობრივი და ფუნქციური მდგომარეობის გათვალისწინებით, აკონტროლებს პროცესს და საჭიროების შემთხვევაში, არგუმენტირებულად აკორექტირებს თითოეული მათგანის მიერ დაშვებულ შეცდომას. მწვრთნელებთან და მსაჯებთან კომუნიკაციის დროს, მოქმედებს ეთიკის პრინციპების დაცვით.
8. სამეცნიერო საქმიანობის განხორციელების პროცესში, იძიებს და არჩევს როგორც ქართულ, ისე ინგლისურენოვან სამეცნიერო ლიტერატურასა და კვლევის მეთოდს; სამეცნიერო ნაშრომზე მუშაობის სპეციფიკის გათვალისწინებით ატარებს კვლევას, აანალიზებს და კრიტიკულად აფასებს შედეგებს, სასწავლო-საწვრთნელი პროცესის გაუმჯობესების მიზნით.

სწავლის შედეგებში ასახულია დარგის სპეციფიკა და შრომის ბაზრის მოთხოვნები, სწავლის შედეგების შედგენის პროცესში ჩართული იყვნენ აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები და კურსდამთავრებულები, შესაბამისი სფეროს დამსაქმებლები. ასევე, მოხდა მსოფლიოში არსებული საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინება.

სწავლის შედეგები პროგრამის მიზანთან ლოგიკურად არის დაკავშირებული, გათვალისწინებულია სწავლის სფეროს თავისებურებები და მიღწევადია. შედეგები ჩამოყალიბებულია იმგვარად, რომ არის გასაგები და კონკრეტულად აღწერს, თუ რა კომპეტენციის (ცოდნის, უნარების, პასუხისმგებლობას და ავტონომიურობის) მქონე კურსდამთავრებული ეყოლება პროგრამას. ამავდროულად, სასურველია სწავლის შედეგებში ჩანდეს მწვრთნელისთვის აუცილებელი კომპეტენცია „სპოტსმენთა წვრთნის, ფიზიკური კონდიციის და მიღწევების მონიტორინგისთვის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების ცოდნა და უნარი“, რომელიც კურსდამმთავრებულს ხდის კონკურენტუნარიანს საერთაშორისო ბაზარზე

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში;
- „ფიზიკური აღზრდა და სპორტის (მწვრთნელი)“ სამაგისტრო პროგრამის ანალოგიურ პროგრამებთან შედარების ანალიზი;
- ინტერვიუს შედგებები.

რეკომენდაციები

- არ არის.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია სწავლის შედეგებში ჩანდეს მწვრთნელისთვის აუცილებელი კომპეტენცია „სპორტსმენთა წვრთნის, ფიზიკური კონდიციის და მიღწევების მონიტორინგისთვის

თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების ცოდნა და უნარი“, რომელიც კურსდამმთავრებულს ხდის კონკურენტუნარიანს საერთაშორისო ბაზარზე

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	☒	☐	☐	☐

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს რიგი დოკუმენტები, რითიც ახდენს სწავლის შედეგების შეფასებას. კერძოდ, პროგრამას ერთვის „სწავლის შედეგების რუქა“, რომელიც ასახავს ინფორმაციას, თუ რა ხარისხით ხდება სწავლის შედეგის მიღწევა. სამიზნე ნიშნულები განსაზღვრულია თითოეული სწავლის შედეგისთვის/კომპონენტისათვის, შეფასება ხდება პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდით. ასევე, პრგრამის ახლავს „პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა“, რომელიც დეტალურად ასახავს შედეგების შეფასების მეთოდს, ინსტრუმენტებს და შეფასების განხორციელების პერიოდს.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმსა და სწავლის შედეგების შეფასების გეგმის შედგენის წესს.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპია მიღებული შედეგების გაანალზიება და ამის საფუძველზე პროგრამის გაუმჯობესება. ამ ეტაპზე დაწესებულების მიერ ხდება შედეგების სამიზნე ნიშნულებთან დადარება და ანალიზი.

ვინაიდან პროგრამას ამ ეტაპზე ყავს რამდენიმე სტუდენტი, ანალიზის ჩატარება ამ ეტაპზე არ იძლევა სარწმუნო მტკიცებულებას, თუმცა კუსდამთავრებულთა დასაქმების, დამსაქმებლების და სტუდენტების გამოკითხვის შედეგები არაპირადაპირი მაჩვენებელია პროგრამის შედეგების მიღწევების, რითი იხელმძღვანელა ექსპერტთა ჯგუფმა.

პროგრამის შესახებ ყველა ინფორმაცია ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული მხარისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;
- აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში;
- გამოკითხვის შედეგები.

რეკომენდაციები:

- არ არის.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	☒	☐	☐	☐

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აკრედიტაციის მიზნით წარმოდგენილი პროგრამა შემუშავებულია დაწესებულებაში არსებული „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ შესაბამისად, შეესაბამება უმაღლესი განათლების საფეხურს (მაგისტრატურა), საქართველოს კანონმდებლობასა და ევროპული კრედიტების გაანგარიშების სისტემას. პროგრამა შედგენილია უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების და ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისად.

პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული სასწავლო კურსების/პროგრამის სხვა კომპონენტების მოცულობა გაანგარიშებულია ECTS-ის კრედიტებით. პორგრამის ხანგრძლივობა ოთხი სემესტრია და მოიცავს 120 ECTS-ის კრედიტს (1 კრედიტი = 25 საათი), რომელიც სტრუქტურირებულია შემდეგნაირად:

- 84 კრედიტი - ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები;
- 6 კრედიტი - ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები;
- 10 კრედიტი - პრაქტიკა სპეციალიზაციაში;
- 20 კრედიტი - სამაგისტრო ნაშრომი

პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა ორიენტირებულია მოსალოდნელი შედეგების მიღწევაზე. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, პროგრამა შედგენილია მარტივიდან რთულისკენ პრინციპით, თუმცა პროგრამაში მოცემული უმრავლესობა სასწავლო კურსი დამოუკიდებელი შინაარსისაა და თანაბარი ხარისხის სირთულის.

პროგრამის მიხედვით, სასწავლო კურსი „სპორტის ბიომექანიკა“ ისწავლება მესამე სემესტრში, თუმცა ამ კურსით გათვალისწინებული შინაარსი და, შესაბამისად, სწავლის შედეგი აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს რიგი სასწავლო კურსებისა, რომლებიც ისწავლება I-II სემესტრებში (სპეციალიზაცია I-II, სპორტული წვრთნის თეორია და მეთოდოლოგია I-II, ფიტნესი). ამიტომ მიზანშეწონილია აღნიშნული სასწავლო კურსის ადრე სემეტრებში გადმოტანა, რაც გასაუბრებისას, ასევე, დაადასტურა აკადემიურმა პერსონალმა.

ასევე, ყურადღებას იპყრობს უნიფიცირებულად ყველა სასწავლო კურსისთვის 6 კრედიტის მინიჭების საკითხი და, ასევე, აღნიშნულ კრედიტის ფარგლებში იდენტურად გადანაწილებული საკონტაქტო, დამოუკიდებელი და საგამოცდო საათების ერთნაირი განაწილება. მიზანშეწონილია, აკადემიური გუნდის მიერ ამ გარემოების გადახედვა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა, პროგრამის კომპონენტების სილაბუსები;
- აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები

- რეკომენდირებულია სასწავლო კურსის „სპორტის ბიომექანიკა“ ადრეულ სემესტრებში შესწავლა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- მიზანშეწონილია გადაიხედოს უნიფიცირებული კრედიტების და საათების რაოდენობა და მათი განაწილება სასწავლო კურსების სილაბუშებში;
- სასურველია დაემატაოს სასწავლო კურსი, რომელიც სტუდენტს მისცემს ცოდნას და უნარებს სპორტულ წვრთნაში გამოყენებული თანამედროვე დიგიტალური ტექნოლოგიების შესახებ

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	☐	☒	☐	☐

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სასწავლო კურსების სილაბუსები კარგად სტრუქტურირებულია, ასახავს ყველა საჭირო ინფორმაციას, მათ შორის - სასწავლო კურსის სწავლის შედგებეის სამიზნე ნიშნულებს. ასევე, მითითებულია ინდივიდუალური კონსულტაციების ჩატარების შესაძლებლობა, კერძოდ: სტუდენტი უფლებამოსილია, კონსულტაცია გაიაროს კურსის განმახორციელებელთან როგორც დაწესებულებაში შეხვედრის ფორმატში, ისე დისტანციურად, მაგალითად, Zoom-ის საშუალებით.

სასწავლო კურსებში მოცემული თემატიკა ორიენტირებულია სწავლის შედეგების მისაღწევ შინაარსზე, თუმცა სასწავლო კურსის დაგეგმვისას და მისთვის კრედიტების მინიჭებისას გათვალისწინებული უნდა იყოს საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათების მოცულობა, მათ შორის თანაფარდობა უნდა იყოს სტუდენტის სასწავლო დატვირთვის, კურსის ფარგლებში შესასრულებელი დავალებების მოცულობისა და სირთულის, კურსის ფარგლებში გამოსაყენებელ სწავლა-სწავლების მეთოდების რელევანტური. ასე, მაგალითად: სასწავლო კურსის „სპორტის ფსიქოლოგია“ 6 ECTS

(საკონტაქტო 48 საათი, მათ შორის 3 საგამოცდო) მიზანი მოითხოვს დახვეწას (მეორდება შინაარსი). ფორმულირება და საკითხის მოცულობა, რომელიც მოცემულია, მიუღწევადია ამ რაოდენობა კრედიტების და საათების ფარგლებში, ასევე მოცემული შედეგები ნაწილობრივ ფარავს მიზანს. შინაარსი (თემატიკა) მოიცავს დიდ რაოდენობა მასალას, რომელმაც მიზნის და შედეგების თანახმად სტუდენტს უნდა მისცეს „ღრმა ცოდნა“ და გამოუმუშავოს სამაგისტრო საფეხურის შესატყვის უნარები. შესაბამისად, სასწავლო კურსის სილაბუსი მოითხოვს გადახედვას და პროგრამის შედეგების შესაბამისად შინაარსის და კრედიტებისა და საათების შესაბამისობაში მოყვანას.

სასწავლო კურსით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების უზრუნველსაყოფად კურსების სილაბუსებში განსაზღვრულია სტუდენტთა ცოდნის შეფასების შესაბამისი კომპონენტები და კრიტერიუმები. თუმცა ზოგიერთ სილაბუსში დასაკორექტირებელია შეფასების მეთოდები, მაგალითად:

სასწავლო კურსი „ფიტნესი“-ს დასკვნით გამოცდაზე სწავლის შედეგის „ახდენს შესაბამის პრაქტიკულ მეცადინეობებზე შესწავლილი ვარჯიშების (იარაღებზე და უიარაღოდ) <u>დემონსტრირებას</u>**.** ასაბუთებს ამ ვარჯიშების სწორად შესრულების მეთოდიკას“ გამოყენებულია შეფასება ტარდება ტესტის სახით , რომლის მეშვეობითაც შეუძლებელია წარმოდგენილი უნარის შეფასება.

ასევე სასწავლო კურსი „სპორტის ფსიქოლოგია“ სწავლის შედეგი „ახდენს სპორტსმენების ფსიქოლოგიურ საჭიროებათა შეფასებას; საჭიროებათა კვლევის საფუძველზე, ადგენს მათი ფსიქო-სოციალურ პროფილს; აგროვებს პრობლემის შესაბამისი ანამნეზს; ატარებს კლინიკურ ინტერვიუს და ადგენს ფსიქიკურ სტატუსს“ ფასდება „ღია და დახურული კითხვები“-თ. აქვე შედეგი „პრაქტიკული მუშაობისას პიროვნებასთან, სპორტსმენებთან და მწვრთნელებთან, ზოგადი და სპორტის ფსიქოლოგიაში არსებულ ცნებებსა და თეორიაზე დაფუძნებით, არჩევს შეფასების მეთოდებს, მათი ფსიქოლოგიური მდგომარეობების შესაბამისად, გეგმავს ინტერვენციის პროცესს კომპეტენტურად და იღებს კვალიფიციურ პრაქტიკულ გადაწყვეტილებებს“ ფასდება ღია და დახურული კითხვის მეთოდით. შესაბამისად, სასურველია აკადემიური პერსონალის მიერ შერჩეული იქნას რელევანტური შეფასების მეთოდი.

სასწავლო კურსების სილაბუსებში მოცემულია სავალდებულო ლიტერატურა როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენაზე. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა ითვალისწინებს ინგლისური ენის ცოდნას. უცხოენოვანი სასწავლო მასალები, ელექტრონული სახელმძღვანელოების სახით, ჩართულია სილაბუსის როგორც ძირითადი, ისე დამხმარე ლიტერატურის განაყოფებში. დაწესებულების მიერ სასწავლო კურსებში განახლებულია ლიტერატურა, ექსპერტთა ჯგუფი ითვალისწინებს ქვეყანაში დარგის ქართულენოვანი ლიტერატურის სიმწირეს და ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოების დომინირების გარემოებას. თუმცა, რამოდენიმე სასწავლო კურსის ინგლისურენოვანი ძირითადი ლიტერატურის განახლება კვლავ აქტუალურია. მაგალითად, სასწავლო კურსის „ფიტნესი“-ს სილაბუსში მოცემული სახელმძღვანელოები საკმაოდ ძველია და მოითხოვს განახლებას:

<u>Encyclopedia of Bodybuilding, 1986 (Arnold Schwarzeneger)</u>

<u>The Insider's Encyclopedia on How to Build Muscle & Might, 2003 (Beyond Brawn)</u>

<u>Encyclopedia of Bodybuilding, 2008 (Robert Kennedy)</u>

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კურსის სილაბუსები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები

- სასწავლო კურსში „სპორტის ფსიქოლოგია“ შესაბამისობაშია მოსაყვანი კურსის მიზანი და შედეგები, შინაარსის მიხედვით განსაზაზღვრია კრედიტების და საათების რაოდენობა;

- რეკომენდირებულია აკადემიური პერსონალის მხრიდან კურსის სწავლის შედეგების შეფასების რელევანტური მეთოდების შერჩევა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- მიზანშეწონილია ყურადღება გამახვილდეს სავალდებულო ლიტერატურაზე, რადგან რამდენიმე სასწავლო კურსის სავალდებულო ლიტერატურა მოითხოვს განახლებას.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	☐	☒	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აკრედიტაციაზე წარმოდგენილ პროგრამაზე დაწესებულებას განსაზღვრული აქვს დაშვების შემდეგი წინაპირობა: „ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც წარმატებით დაძლევს საერთო სამაგისტრო გამოცდებს და სპორტის უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულ შიდასაუნივერსიტეტო გამოცდას (გარდა კანონმდებლობით დადგენილი შემთხვევებისა). მაგისტრანტობის კანდიდატი დაწესებულების მიერ განსაზღვრულ გამოცდაში/გამოცდებში მონაწილეობის უფლებას მოიპოვებს იმ შემთხვევაში, თუ ის საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის ოთხი ნაწილიდან რომელიმე სამ ნაწილში მაინც გადალახავს მინიმალური კომპეტენციის ზღვარს“.

დაწესებულების მიერ განსაზღვრული შიდა საუნივერსიტეტო გამოცდებია - გამოცდა სპეციალობაში და ინგლისურ ენაში:

- გამოცდა სპეციალობაში ტარდება ზეპირი ფორმით;
- ინგლისურ ენაში გამოცდა ტარდება ტესტირების გზით. მინიმალური გადასალახი ზღვარია 51%. ტესტი არის B2 დონის. მაგისტრანტობის ის კანდიდატები, რომლებიც წარმოადგენენ ინგლისური ენის B2 დონეზე ფლობის დამადასტურებელ სერტიფიკატს (FCE, TOEFL, IELTS) – თავისუფლდებიან გამოცდისაგან. გამოცდის ჩაბარებისგან თავისუფლდებიან ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულებიც.

წარმოდგენილი დაშვების წინაპირობა უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

პროგრამაზე საერთო სამაგისტრო გამოცდის გავლის გარეშე ჩარიცხვა ხორციელდება „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანების შესაბამისად. პროგრამაზე ჩარიცხვა, ასევე, შესაძლებელია მობილობის წესით; შიდა მობილობის წესით ჩარიცხვის ვადები, პროცედურები და შესაბამისი დამატებითი საკითხები განისაზღვრება დაწესებულების რექტორის ბრძანებით, ხოლო გარე მობილობა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების, მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/ნ ბრძანებით დამტკიცებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის შესაბამისად.

დაწესებულების „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში“ (3.3.2) დეტალურად არის გაწერილი პროგრამაზე სტუდენტის სტატუსის მოპოვების პირობები. პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობების, პროცედურებისა და შეფასების წესის საჯაროობა და ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში;
- „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
- დაწესებულების ვებ-გვერდი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები

- არ არის.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	☒	☐	☐	☐

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

დაწესებულების საქმიანობა მიმართულია პროგრამის სწავლის შედეგების რეალიზების მაქსიმალური ხელშეწყობისკენ და მათი პრაქტიკული, სამეცნიერო, კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარებისაკენ.

პროგრამის სასწავლო კომპონენტები სპეციალიზაცია (1,2,3), რომელიც მოიცავს ტანვარჯიშის სახეობათა სპეციალიზაციას, საწყალოსნო სპორტის სახეობათა სპეციალიზაციას, მძლეოსნობის სპეციალიზაციას, ჭიდაობის სპეციალიზაციას, ფრენბურთის სპეციალიზაციას, რაგბის სპეციალიზაციას, ფეხბურთის სპეციალიზაციას, კალათბურთის სპეციალიზაციას, ფარიკაობის სპეციალიზაციას, კრივის სპეციალიზაციას, ჩოგბურთის სპეციალიზაციას, ჭადრაკის სპეციალიზაციას არის სტუდენტთა პრაქტიკული უნარების განვითარებისკენ მიმართული.

დამატებით, სტუდენტების მიერ უკვე გამომუშავებული პრაქტიკული უნარ-ჩვევების შემდგომი განვითარებისა და სამწვრთნელო გარემოში განმტკიცებისთვის, პროგრამა ითვალისწინებს პროფესიული/სამწვრთნელო პრაქტიკის გავლასაც, სადაც მათ აქვთ გამოცდილების მიღების შესაძლებლობა კვალიფიციურ მენტორებთან და მრავალფეროვან სასწავლო ჯგუფებთან, მათ შორის მაღალი კვალიფიკაციის სპორტსმენებით დაკომპლექტებულ ჯგუფებთან.

სასწავლო კურსების სილაბუსებში, რომლებიც მოიცავენ პრაქტიკის კომპონენტს, დაწვრილებით არის აღწერილი პრაქტიკის გეგმა, რაც გულისხმობს პრაქტიკის ადგილზე ვიზიტისას განსახორციელებელი აქტივობების მიზანს, შინაარსს, ინსტრუქციას, პრაქტიკაზე სტუდენტის შეფასების მექანიზმებს და სხვ. პრაქტიკის დაგეგმვისა და მისი აღწერის ასეთი მიდგომით პრაქტიკის პროცესი არის ცხადი და ასევე თანმიმდევრულად აღქმადი როგორც სტუდენტებისთვის, ასევე პრაქტიკის ადგილზე პრაქტიკის ხელმძღვანელებისთვის.

პროგრამა მოიცავს 3 კომპონენტს, რომელიც დაკავშირებულია სამეცნიერო უნარების განვითარებასთან: სამეცნიერო ნაშრომზე მუშაობის საფუძვლები (6), მეცნიერული კვლევის მეთოდები სპორტში (6), სამაგისტრო ნაშრომი (20). კომპონენტების თანმიმდევრული განხორციელება უზრუნვეყოფს სტუდენტებში კვლევითი და სამეცნიერო უნარების განვითარებას, რაც პროგრამის დასკვნით ეტაპზე სამეცნიერო კვლევითი პროექტითა და ნაშრომით დადასტურდება. სტუდენტთა კვლევით პროექტებში ჩართვის მთავარი ხელშემწყობია სამეცნიეროკვლევითი სამსახური. 2022 წელს, სამეცნიერო სამსახურის მიერ, შეიქმნა შემეცნებითი ვიდეომასალა „სამეცნიერო ნაშრომზე მუშაობის საფუძვლები“, რომელიც მაქსიმალურად დაეხმარება სტუდენტებს, სამაგისტრო ნაშრომის მომზადებასა და სხვა სამეცნიერო ნაშრომის წერის პროცესში. პროგრამას არ ახლავს „სამაგისტრო ნაშრომი“-ს სილაბუსი, თუმცა პროგრამაში ვნახულობთ ჩანაწერს, რომ „90 საკონტაქტო საათი მიძღვნილი აქვს სამაგისტრო ხელმძღვანელის კონსულტაციას მაგისტრანტისადმი და სამაგისტრო ნაშრომის დაცვას“. ასევე, დაწესებულება მემორანდუმების მეშვეობით მჭიდროდ თანამშრომლობს ადგილობრივ და უცხოურ პარტნიორ უნივერსიტეტებსა და ორგანიზაციებთან, სახელმწიფო და კერძო კომპანიებთან.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს „სამეცნიერო-კვლევითი სამსახურის“ დებულება, რომლის ერთ-ერთ ამოცანაა „უზრუნველყოს უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის საბაზისო და სამეცნიერო კვლევითი უნარ-ჩვევების სწავლება, დაწესებულების შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისათვის სასწავლო პრაქტიკული, სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების და საგრანტო პროექტების

განხორციელების ხელშეწყობა“. ასევე, შემუშავებულია „სამაგისტრო ნაშრომის შესრულების, წარდგენისა და შეფასების ინსტრუქცია“

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მემორანდუმები;
- სამეცნიერო-კვლევითი სამსახურის დებულება;
- კვლევითი საქმიანობის წახალისების, მხარდაჭერისა და დაფინანსების წესი;
- სამაგისტრო ნაშრომის შესრულების, წარდგენისა და შეფასების ინსტრუქცია;
- სამაგისტრო ნაშრომები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები

- არ არის.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი /შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	☒	☐	☐	☐

2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სასწავლო კურსებში გამოიყენება სწავლა-სწავლების სხვადასხვა მეთოდი, რომლებიც ასახულია სასწავლო კურსების სილაბუსებში. პროგრამის მიხედვით, „სწავლა-სწავლების მეთოდებია: ლექცია, სემინარი, პრაქტიკული მეცადინეობები და დამოუკიდებელი მუშაობა. სწავლა-სწავლების აღნიშნული მეთოდები მოიცავს შესაბამის აქტივობებს:

- ლექციაზე გამოიყენება: ახსნა-განმარტება, პრეზენტაცია;
- სემინარზე გამოიყენება: დისკუსია, დებატები, გონებრივი იერიში;
- პრაქტიკულ მეცადინეობაზე გამოიყენება: ტექნიკური მოქმედებების პრაქტიკული შესრულება-დემონსტრირება, პრაქტიკული სიტუაციების გარჩევები, ანალიზი და სინთეზი და ა.შ.
- დამოუკიდებელ მუშაობაზე გამოიყენება: წიგნზე მუშაობა, პრეზენტაციაზე მუშაობა, ტექნიკური მოქმედებების პრაქტიკული შესრულება და სხვა.“

უნდა აღინიშნოს, რომ იმისათვის რომ სწავლის შედეგი უფრო სწრაფად და ნაყოფიერად იქნას მიღწეული, სასურველია გამოყენებული იქნას სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების თანამედროვე მეთოდები, როგორიცაა ვირტუალური რეალობის ტექნოლოგიის გამოყენებით სწავლება, ხელოვნური ინტელექტის გამოყენება, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, peer-coaching, სწავლა-სწავლებით, სწავლა-კეთებით და ა.შ. აღნიშნული მეთოდების გამოყენება ასევე ხელს შეუწყობს ტრანსფერული უნარების განვითარებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში.

რეკომენდაციები

- არ არის.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია სწავლების და შეფასების მრავალფეროვანი და თანამედროვე მეთოდების ინტეგრირება სწავლების პროცესში.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები	☒	☐	☐	☐

2.4. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ექსპერტთა მიერ ვიზიტის დღის წესრიგით გაწერილი შეხვედრების ჩატარებისა და შესაბამისი დოკუმენტაციის გაცნობის შედეგად გამოიკვეთა, რომ სტუდენტთა მიმართ გამოიყენება სამართლიანი შეფასების სისტემა, რომელიც შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან და დაწესებულების შიდა რეგულაციებთან. სტუდენტთა შეფასების სისტემა გამჭირვალეა და ხელმისაწვდომია როგორც სტუდენტებისათვის, ასევე შემფასებლებისათვის. პროგრამასა და სილაბუსებში ნათლად არის გაწერილი სტუდენტთა შეფასების ის კრიტერიუმები, რომელიც მიეწოდებათ სტუდენტებს სემესტრის დასაწყისშივე. თითოეულ სასწავლო კურსში შეფასება მორგებულია სწავლების შინაარსსა და ითვალისწინებს მოცემული კურსის სპეციფიკას. პროგრამის სილაბუსებში გაწერილია შეფასების ის ფორმები და მეთოდები, რომლებიც სწავლის მეთოდებთან ერთად ითვალისწინებს კურსის სწავლის შედეგების მიღწევას. სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული ბაზა, ასევე, საშუალებას აძლევს სტუდენტებს მიიღონ უკუკავშირი სწავლის შედეგებზე და ინდივიდუალურად გაეცნონ შეფასების შედეგებს. აღნიშნული ელექტრონული პლატფორმა უზრუნველყოფს მაქსიმალურ ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების შესახებ. ხაზგასასმელია, რომ მოცემული სასწავლო პროგრამის სილაბუსებში წარმოდგენილია სტუდენტთა შეფასების მრავალფეროვანი მეთოდები, რომლებიც უზრუნველყოფენ პროგრმით გაწერილი სწავლის შედეგების ეფექტიანად მიღწევას. კერძოდ, სასწავლო კურსის მეთოდები მოიცავს შემდეგ კომპონენტებს: დისკუსიაში მონაწილეობას, სასემინარო წერითი სამუშაოებს, საშინაო (პრაქტიკული) დავალებებს, ზეპირი პრეზენტაციებს, ასევე ზეპირი ან/და წერითი გამოცდის ჩატარებას. სწავლის შედეგების შეფასება ხორციელდება როგორც შუალედური, ისე ფინალური შეფასების გზით. სტუდენტი პროგრამის თითოეულ კომპონენტში ფასდება 100-ქულიანი სისტემით, რომელიც სასწავლო კომპონენტების შემთხვევაში მოიცავს შუალედურ შეფასებას და დასკვნით გამოცდას (შუალედური შეფასება – მაქსიმუმ 60 ქულა; დასკვნითი გამოცდა – მაქსიმუმ 40 ქულა). შეფასების თითოეული ფორმისთვის დადგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. გამოყენებული

შეფასების სისტემა მოიცავს შეფასების ადეკვატურ ფორმებს, კომპონენტებსა და მეთოდებს, რომლებიც მიმართულია სწავლის შედეგების მიღწევისაკენ. ამასთანავე, პროგრამის გაუმჯობესების მიზნით, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მიერ რეგულარულად ხორციელდება შეფასების შედეგების ანალიზი.

სწავლების დამამთავრებელ ეტაპზე - მეოთხე სემესტრში სტუდენტი ასრულებს სამაგისტრო ნაშრომს, სამაგისტრო ნაშრომი ფასდება მთლიანობაში, ერთიანად დასკვნითი შეფასებით 100-ქულიანი სისტემით უნივერსიტეტის მიერ შემუშვებული ,,სამაგისტრო ნაშრომის შესრულების, წარდგენისა და შეფასების ინსტრუქციის შესაბამისად" (სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმებია: შინაარსობრივ-სტრუქტურული შესაბამისობა-20 ქულა, საკვლევი პრობლემა, კვლევის აქტუალობა, მიზანი და ამოცანები - 20 ქულა; კვლევის შედეგები და დასკვნები – 20 ქულა; ნაშრომის პრეზენტაცია – 20 ქულა; მსჯელობა - 20 ქულა). სამაგისტრო ნაშრომი მაგისტრანტს შესრულებულად ჩაეთვლება, თუ შეფასებისას დააგროვებს 51 და მეტ ქულას. როგორც პროგრამის სტუდენტებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, სტუდენტები გარდა ნაშრომის შეფასების სისტემისა, ასევე კარგად იცნობენ ნაშრომის აკადემიური კუთხით გაფორმებისა და პლაგიატის პროგრამაში მოცემული ნაშრომის შემოწმების წესებსაც. არსანიშნავია, რომ სამაგისტრო ნაშრომი მოწმდება ანტიპლაგის ელექტრონული პროგრამით „ურკუნდი". სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი საბოლოო დასკვნის დაწერამდე, ითვალისწინებს წარმოდგენილი ნაშრომის ანტიპლაგიატზე შემოწმების დასკვნას და მხოლოდ ამის შემდეგ წყდება ნაშრომის რეცენზენტისთვის შესაფასებლად გადაცემის საკითხი. ხაზგასასმელია, რომ 2022 წლის 2 დეკემბერს საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტსა და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს შორის გაფორმდა ახალი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, აკადემიური კეთილსინდისიერების ნორმების დაცვის მიზნით ანტიპლაგიატის ახალი სისტემის გამოყენების თაობაზე.

ვიზიტის განმავლობაში, პროგრამის სტუდენტებთან ინტერვიუს დროს ასევე გამოიკვეთა, რომ რეგულარულად ხორციელდება მათი ინფორმირება დაწესებულებაში მოქმედი შეფასების სისტემისა და შეფასებასთან დაკავშირებით მოქმედი და ახალი რეგულაციების შესახებ. ამასთანავე, სტუდენტები იღებენ უკუგებას ლექტორების მხრიდან სწავლის შედეგებთან და მიღებულ შეფასებებთან დაკავშირებით, რაც საშუალებას აძლევთ, გააუმჯობესონ სწავლის შედეგები. როგორც პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, სტუდენტები ასევე კარგად იცნობენ მოქმედ სააპელაციო სისტემას. აღნიშნული საშუალებას აძლევს სტუდენტებს, საჭიროების შემთხვევაში, გაასაჩივრონ შეფასების შედეგები. გასაჩივრების შემთხვევაში დაწესებულების მხრიდან ხორციელდება სტუდენტის კოკნრეტული აქტივობის ხელახალი შეფასება. აქვე ხაზგასასმელია, რომ ვიზიტის შედეგებმა და შესაბამისი დოკუმენტაციის გაცნობამ დაგვანახა, რომ შეფასების არსებული სისტემა კარგადაა ცნობილი შემფასებლებისათვისაც. აკადემიური და მოწვეული პერსონალისათვის პროგრამის ფარგლებში შეფასების სისტემის თაობაზე ხდება ამომწურავი ინფორმაციის მიწოდება სხვადასხვა მექანიზმით. კერძოდ, დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური კონსულტაციების მეშვეობით აცნობს აკადემიურ პერსონალს დაწესებულებაში მოქმედი შეფასების მექანიზმებს. მოცემული მიმართულებით, ასევე პერიოდულად ტარდება ტრეინინგები, რომლის მეშვეობითაც ხდება შეფასების სისტემის გაცნობა შემფასებლებისათვის. გარდა დაწესებულების ცენტრალური ხარისხის სამსახურისა, ასევე ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის წარმომადგენლები ატარებენ რეგულარულ კონსულტაციებს აკადემიურ პერსონალთან, განსაკუთრებით მოწვეულ პერსონალს დეტალურად ეცნობა არსებული გაიდლაინები ელექტრონული შეფასების სისტემისა და შეფასების მექანიზმებთან დაკავშირებული ახალი სტანდარტებისა და წესების შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;

- სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული ბაზა;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- სამაგისტრო ნაშრომის შესრულების, წარდგენისა და შეფასების ინსტრუქცია;
- პროგრამის კურსდამთავრებულთა სამაგისტრო ნაშრომები;
- საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება №79/ნ (2019) საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე;
- ინტერვიუს შედეგები აკადემიურ პერსონალთან, პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

რეკომენდაციები

- არ არის.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.4 სტუდენტების შეფასება	☒	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

დაწესებულებაში ექსპერტთა მიერ ვიზიტის დროს ინტერვიუს ჩატარების, პროგრამის შესახებ წარმოდგენილი დოკუმენტაციის გაცნობის, პროგრამის განმახორციელებლ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრების ჩატარების საფუძველზე დადგინდა, რომ სტუდენტებს მოცემული პროგრამების ფარგლებში აქვთ შესაძლებლობა მიიღონ ყველა ის საჭირო დახმარება და კონსულტაცია, რომელიც აუცილებელია სასწავლო პროცესის დასაგეგმად და განსახორციელებლად. მოცემულ პროცესში სტუდენტებს დახმარებას უწევენ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლები, რომლებიც ერთობლივად უზრუნველყოფენ სტუდენტისა და კურსდამთავრებულისათვის ამომწურავი ინფორმაციის მიწოდებას როგორც უშუალოდ სწავლის პროცესთან დაკავშირებით, ასევე მათი შემდგომი პროფესიული ზრდის შესაძლებლობების თაობაზეც. დაწესებულებაში, ასევე, მოქმედებს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის უფლება-მოვალეობებს. ზოგადი კონსულტაციები სტუდენტებთან იმართება პროგრამებზე ჩარიცხვიდან პირველივე კვირაში, რომლის მეშვეობითაც სტუდენტებს მიეწოდებათ ამომწურავი ინფორმაცია სასწავლო პროცესისა და მასთან დაკავშირებული საუნივერსიტეტო სერვისების შესახებ. გარდა საკონსულტაციო საათების ცხრილისა, რომელის განთავსებაც ხდება საინფორმაციო დაფაზე, თითოეული აკადემიური პერსონალის ინდივიდუალურ დატვირთვაში ასევე გათვალისწინებულია სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობა. შესაბამისად, სწავლის შედეგების გაუმჯობესების მიზნით და სტუდენტთა განსაკუთრებული საჭიროებებიდან გამომდინარე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მიიღოს დამატებითი კონსულტაციები აკადემიური პერსონალის მხრიდან.

სტუდენტები აკადემიური პერსონალისგან სილაბუსით გაწერილ ინდივიდუალურ საკონსულტაციო საათებში იღებენ ყველა საჭირო დახმარებასა და ინფორმაციას. კონსულტაციისთვის გამოიყენება ინდივიდუალური შეხვედრები, ელ-ფოსტა, ელექტრონული სასწავლო პორტალი და სოციალური ქსელების ოფიციალური გვერდები. ხაზგასასმელია ის ეფექტიანი უკუკავშირი, რომელიც არსებობს პროგრამის ადმინისტრაციულ და აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებს შორის. სტუდენტები ასევე ჩართულნი სასწავლო პროცესის შეფასებაში. სტუდენტები მონაწილეობენ როგორც სემესტრულ გამოკითხვებში, რომლითაც აფასებენ სხვადასხვა სასწავლო კურსებს, ასევე მონაწილეობენ საერთო კმაყოფილების კვლევის პროცესში. თუმცა გამოიკვეთა მათი პასიური ჩართულობა უშუალოდ პროგრამების შეფასების პროცესებში.

აღსანიშნავია, რომ დაწესებულებაში მოქმედი ელექტრონული სწავლების პლატფორმა საშუალებას აძლევს სტუდენტებს ჩაერთონ დაწესებულების შიდა საინფორმაციო სივრცეში და მიიღონ ამომწურავი ინფორმაცია სასწავლო პროცესის მიმდინარეობათან დაკავშირებული საკითხებისა და საუნივერსიტეტო სერვისების შესახებ. როგორც სტუდენტებთან ინტერვიუს ჩატარების შედეგად გამოიკვეთა, სტუდენტის ინფორმირების მიზნით ასევე ეფექტიანად გამოიყენება ოფიციალური ელექტრონული ფოსტა, სატელეფონო კომუნიკაცია, სოციალურ ქსელებში შექმნილი ოფიციალური ჯგუფები და უნივერსიტეტის ოფიციალური ელექტრონული გვერდი. მოცემული საშუალებების გამოყენებით, სტუდენტები რეგულარულად იღებენ ინფორმაციას სასწავლო პროგრამის, სასწავლო პროცესის მიმდინარეობის, სასწავლო მასალებისა და საბიბლიოთეკო რესურსების შესახებ. სტუდენტებს შესაბამისი სამსახურების მიერ ასევე მიეწოდებათ ინფორმაცია სწავლის დაფინანსებისა და გაცვლითი პროგრამების თაობაზე. საერთაშორისო პროექტების, გაცვლითი პროგრამების, საზაფხულო სკოლების, კონფერენციებისა და მობილობის შესახებ სტუდენტთა ინფორმირებულობას, ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან და პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად, უძღვება დაწესებულების საერთაშორისო ურთიერთობათა სამსახურიც. ხაზგასასმელია, რომ დაწესებულება სტუდენტს სთავაზობს ფინანსური მხარდაჭერის მრავალფეროვან მექანიზმებს, მათ შორის მოიაზრება სოციალურად დაუცველი სტუდენტის დაფინანსება, მაღალი მოსწრების სტუდენტების სტიპენდიები და სხვა ფინანსური წამახალისებელი საშუალებები.

პროგრამების სტუდენტებს საკომუნიკაციო სისტემის მეშვეობით ასევე მიეწოდებათ მაქსიმალურად დეტალური ინფორმაცია ჩატარებული, მიმდინარე და დაგეგმილი სტუდენტური კონფერენციების,

კვლევითი პროექტებისა და საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების თაობაზე. თუმცა ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა სტუდენტების პასიური ჩართულობა კვლევით პროექტებში და კონფერენციებში. პროგრამების ინტერნაციონალიზაციის ფარგლებში, სტუდენტები ასევე მონაწილეობდნენ გაცვლით პროგრამებში. 2021-2022 წლებში პროგრამის სტუდენტები გორგიძე სოფიკო და მარიამ ხუტუნიშვილი მონაწილეობდა ერაზმუს+-ის ფარგლებში გაცვლით პროგრამაში. თუმცა ინტერვიუს დროს ასევე გამოიკვეთა პროგრამის აქტიურ სტუდენტთა ჩართულობის სიმცირე მიმდინარე გაცვლით პროგრამებში. ხაზგასასმელია პროგრამის სტუდენტების აქტიური ჩართულობა 2020-2021 წლებში გამართულ უნივერსიადაში და შიდასაუნივერსიტეტო ჩემპიონატებში.

ხაზგასასმელია, რომ დაწესებულება საშუალებას აძლევს გამორჩეულ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს, დასაქმდნენ ან/და სტაჟირება გაიარონ იმ ადგილობრივ და საერთაშორისო დაწესებულებებში, რომლებთანაც მჭიდროდ თანამშრომლობს დაწესებულება. მოცემული კუთხით, სტუდენტებს მნიშვნელოვან მხარდაჭერას უწევს სტუდენტთა კარიერული განვითარებისა და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის სამსახური. სტუდენტთა მხარდაჭერის მიზნით, მოცემული სამსახურის წარმომადგენლები მუდმივად ახდენენ სტუდენტთა ინფორმირებას არსებული ვაკანსიების შესახებ, აკავშირებენ პოტენციურ დამსაქმებელთან, უწევენ რეკომენდაციას შერჩეულ კანდიდატურას. აღსანიშნავია, რომ მოცემული სამსახური 2022 წლიდან თანამშრომლობს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან არსებულ სარეაბილიტაციო ცენტრთან, სადაც პროგრამის კურსდამთავრებულები გაივლიან სტაჟირებას, დასაქმების პერსპექტივით. ასევე მოცემული სამსახურის მეშვეობით ხორციელდება პერიოდულად ტრენინგები და სემინარები სტუდენტთა პროფესიული და კარიერული მხარდაჭერის მიზნით. ამასთანავე, პერიოდულად ეწყობა შეხვედრები დამსაქმებლებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული ბაზა;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- სამაგისტრო ნაშრომის შესრულების, წარდგენისა და შეფასების ინსტრუქცია;
- პროგრამის კურსდამთავრებულთა სამაგისტრო ნაშრომები;
- საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება №79/ნ (2019) საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე;
- მემორანდუმები უცხოურ პარტნიორ უნივერსიტეტებთან;
- ინდივიდუალური კონსულტაციების გრაფიკი;
- სტუდენტთა კარიერული განვითარებისა და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის სამსახურის ანგარიში;
- საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები აკადემიურ პერსონალთან, პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

რეკომენდაციები

- არ არის.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია პროგრამის წარმომადგენლებმა შეიმუშაონ ის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ სამომავლოდ სტუდენტების მეტად ჩართულობას პროგრამის თვითშეფასების, დახვეწისა და გაუმჯობესების პროცესებში;
- სასურველია სამომავლოდ პროგრამის წარმომადგენლების აქტიური ხელშეწყობით, გაიზარდოს საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში, კონფერენციებში და კვლევით პროექტებში პროგრამის სტუდენტთა ჩართულობის მაჩვენებლი.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	☒	☐	☐	☐

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის შესახებ წარმოდგენილი დოკუმენტაციით, სასწავლო კურსების სილაბუსებზე დაყრდნობით, აკადემიურ პერსონალთან, პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მოცემულ პროგრამას ემსახურება მაღალკვალიფიციური კადრები, რომლებიც უზრუნველყოფენ სტუდენტებთან სამაგისტრო საფეხურზე კვლევითი საქმიანობის წარმოებას და მათთვის დახმარების გაწევას საერთაშორისო პუბლიკაციების მომზადებასა თუ კვლევითი გრანტების მოპოვების პროცესში. როგორც პროგრამის სტუდენტებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, პროგრამა სტუდენტს აძლევს საშუალებას კვლევითი საქმიანობის დაგეგმვისა და სამაგისტრო ნაშრომის მომზადების პროცესში რეგულარული კონსულტაციები მიიღოს როგორც ხელმძღვანელისგან ისე სხვა აკადემიური პერსონალისგანაც. თითოეულ სტუდენტს ფინალური სემესტრის დაწყებამდე მის მიერ შერჩეული საკვლევი თემატიკიდან გამომდინარე გამოყოფილ აკადემიური ხელმძღვანელთან მთელი სემესტრის განმავლობაში უტარდება უშუალო სამუშაო შეხვედრები და კონსულტაციები, რათა სემესტრის ბოლოს დაცვაზე წარდგენილი ნაშრომი შეესაბამებოდეს დადგენილ კრიტერიუმებს. სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა საჭიროების შემთხვევაში აიყვანონ თანახელმძღვანელიც. ფოკუს-ჯგუფებთან ინტერვიუს შედეგად ასევე გამოიკვეთა, რომ აკადემიური პერსონალი მაქსიმალურად უზრუნველყოფს სტუდენტთან სამაგისტრო საფეხურზე შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის წარმოებას და მათთვის დახმარების გაწევას პუბლიკაციების მომზადებასა თუ კვლევითი პროექტების განხორციელების პროცესში.

მაგისტრანტის/დოქტორანტის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები	
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	5
მაგისტრანტების/დოქტორანტების რაოდენობა	8
თანაფარდობა	1 / 1.6

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- სამაგისტრო ნაშრომის შესრულების, წარდგენისა და შეფასების ინსტრუქცია;
- პროგრამის კურსდამთავრებულთა სამაგისტრო ნაშრომები;
- ინტერვიუს შედეგები აკადემიურ პერსონალთან, პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

რეკომენდაციები

- არ არის.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	☒	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

დაწესებულების სტრატეგიული პრიორიტეტია მიიზიდოს მაღალი ხარისხის აკადემიური პერსონალი. პროგრამაში ჩართულია შესაბამისი რაოდენობისა და კვალიფიკაციის აკადემიური პერსნალი, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის პროგრამის სწავლის შედეგების გამომუშავებას. პროგრამაში ჩართულია 22 აკადემიური პერსონალი და 6 მოწვეული პედაგოგი. აკადემიური პერსონალის 100% აფილირებულია დაწესებულებასთან.

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	**პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი[6]**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი[7]**	**მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი**
სულ აკადემიური პერსონალი	**22**	**20**	**18**	**22**
- პროფესორი	6	**6**	6	6
- ასოცირებული პროფესორი	12	**6**	6	12
- ასისტენტ-პროფესორი	4	**4**	4	4
- ასისტენტი	-	**-**	-	-
მოწვეული პერსონალი	6	**4**	-	_
სამეცნიერო პერსონალი	-	-	-	_

პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს „აკადემიური პერსონალის ზღვრული დატვირთვის სქემის შემუშავების მეთოდოლოგია“. აკადემიური პერსონალის დატვირთვის საათობრივი მაჩვენებელი განისაზღვრება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- სასწავლო საქმიანობის განხორციელებისათვის გამოყოფილი საათები;
- სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელებითვის გამოყოფილი საათები;
- საკონსულტაციო ხასიათის დატვირთვისათვის გამოყოფილი საათები;
- საუნივერსიტეტო ღონისძიებებში მონაწილეობისათვის გამოყოფილი საათები.

პროგრამის განმახორციელებელი პირების შერჩევის პროცედურა ეფუძნება გამჭვირვალობის და სამართლიანობის პრინციპებს.

პროგრამის ხელმძღვანელს აქვს პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია: ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდ არის ჩართული პროგრამის განხორციელებაში. ის უზრუნველყოფს პროგრამის განვითარებას, მონაწილეობს პოტენციური სტუდენტების მოზიდვის აქტივობებში, ხელს უწყობს სტუდენტების ინტეგრაციას კარიერულ ცენტრთან, სტუდენტთა აკადემიური მრჩევლის სამსახურთან ინტეგრაციაში, ახორციელებს ინფორმაციის მოთხოვნა/გაცვლას კოლეგებთან, სტუდენტებთან, გარე სააგენტოებსა და პარტნიორებთან პროგრამის ფარგლებში, თანამშრომლობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, მონაწილეობს პროგრამის შეფასებაში და მიღებული უკუკავშირის საფუძველზე ახორციელებს ცვლილებებს ფაკულტეტთან თანამშრომლობით.

[6] ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

[7] ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტების განმახორციელებელი შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

პროგრამის განხორციელებაში ჩართულ ყველა დაინტერესებულ მხარესთან (მენეჯმენტი, აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტი, კურსდამტავრებული, დამსაქმებელი) გასაუბრების დროს გამოიკვეთა პროგრამის ხელმძღვანელის უშუალო და აქტიური ჩართულობა.

პროგრამის სტუდენტები დაწესებულების მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით, რომელთა კვალიფიკაცია შეესაბამება მათ მიერ განსახორციელებელ ფუნქციებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ჩამონათვალი საგნების მითითებით;
- პერსონალის პირადი საქმეები;
- აკადემიური პერსონალის ზღვრული დატვირთვის სქემის შემუშავების მეთოდოლოგია;
- აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები

- არ არის.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.1 ადამიანური რესურსი	☒	☐	☐	☐

4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

მაგისტრანტსა და დოქტორანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

დაწესებულებაში ექსპერტთა მიერ ინტერვიუს ჩატარების, პროგრამის შესახებ წარმოდგენილი დოკუმენტაციით, სასწავლო კურსების სილაბუსებზე დაყრდნობით, აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მოცემულ პროგრამას ემსახურება მაღალკვალიფიციური კადრები, რომლებიც უზრუნველყოფენ სამომავლოდ სტუდენტებთან სამაგისტრო საფეხურზე კვლევითი საქმიანობის წარმოებას და მათთვის დახმარების გაწევას პუბლიკაციების მომზადებასა თუ კვლევით პროექტებში ჩართვის პროცესში. სამაგისტრო საფეხურის მოთხოვნების შესაბამისად და სამაგისტრო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულია სამეცნიერო ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები. აღნიშნული მოთხოვნები დეტალურადაა გაწერილი „სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის შერჩევის კრიტერიუმები“-ს დოკუმენტში. ამასთანავე, სასწავლო და სამეცნიერო კომპონენტების განსახორციელებლად პერსონალის კომპეტენციის შესაბამისობის დადგენის მიზნით, სამაგისტრო პროგრამის შეფასების პროცესში, სამუშაო ჯგუფის მიერ ვიზიტის დროს მიღებული იქნა დეტალურად ინფორმაცია ხელმზღვანელების განათლების, სამეცნიერო

პუბლიკაციების, სამუშაო გამოცდილებისა და კვალიფიკაციის დამადასტურებელი სხვა მონაცემების თაობაზე. როგორც აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა სამეცნიერო ხელმძღვანელები, ისევე როგორც პოტენციური თანახელმძღვანელები აქტიურად არიან ჩართულნი სამეცნიერო კვლევებში, მოპოვებული აქვთ სამეცნიერო გრანტები, აქტიურად მონაწილეობენ კონფერენციებში და გამოქვეყნებული აქვთ სამეცნიერო სტატიები.

სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	**ნაშრომების ხელმძღვანელები**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები**	**მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი**
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	**5**	**2**	**4**
- პროფესორი	1	1	1
- ასოცირებული პროფესორი	2	1	2
- ასისტენტ-პროფესორი	1		1
მოწვეული პერსონალი	1		_
სამეცნიერო პერსონალი	-		_

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის აკადემიური პერსონალის რეზიუმეები;
- ხელმძღვანელების პუბლიკაციები საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო პროექტები, საერთაშორისო გამოცემებში გამოქვეყნებული მონოგრაფიები;
- „სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის შერჩევის კრიტერიუმები“;
- სამეცნიერო-კვლევითი სამსახურის მუშაობის ანგარიშები (2019-2021);
- აკადემიური პერსონალის განვითარების მიზნით განხორციელებული ღონისძიებების დამადასტურებელი დოკუმენტები;
- ინტერვიუს შედეგები აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

რეკომენდაციები

- არ არის.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის.

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	☒	☐	☐	☐

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

დაწესებულება აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით ახორციელდებს სხვადასხვა ღონისძიებებს: აწყობს კონფერენციებს, ტრენინგებს, ასევე პერსონალი, უნივერსიტეტის მხრდაჭერით, მონაწილეობს საერთაშორისო კონფერენციებსა და სემინარებში. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, აკადემიური პერსონალი მუდმივად ზრუნავს პროფესიულ განვითარებაზე, როგორც ვიწრო დარგობრივი მიმართულებით ისე ზოგადი საგანმანათლებლო სფეროებში არსებული გამოწვევების შესაბამისად.

მაგალითად, 2018 წლის მარტში, ჩატარდა ტრენინგი, სახელწოდებით „ელექტრონული სწავლების მეთოდები და საშუალებები“, რომელიც Moodle-ის პლატფორმის მუშაობას მიეძღვნა. 2021 წელს, დაწესებულების IT სამსახურის მიერ ჩატარდა პროფესორ/მასწავლებელთა პროფესიული უნარების განვითარების ტრენინგი, კომპიუტერული ტექნოლოგიებს სწავლების მიმართულებით. ტრენინგში ჩართული იყო უნივერსიტეტის 24 პირი. აკადემიური პერსონალისთვის ყოველწლიურად ტარდება ინგლისური ენის კომპეტენციის ზრდაზე მიმართული კურსები. უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულების პერსონალი თავის მხრივ აქტიურად არიან ჩართულნი მწვრთნელთა და ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებელთა კვალიფიკაციის გადამზადების საქმეში. ამ პროცესს ორგანიზებას უკეთებს კვალიფიკაციის ამაღლების და გადამზადების სამსახური, რომლის ორგანიზებით 2020 წელს, მწვრთნელთა და ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებელთა ხუთი ნაკადის (კერძო სკოლების მასწავლებლები, ხელბურთის ეროვნული ფედერაციის მწვრთნელები და ა.შ.) კვალიფიკაციის ამაღლება მოხდა.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს „კვლევითი საქმიანობის ხარისხისა და პერსონალის კვლევითი პროდუქტიულობის შეფასების წესი“. აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობის შეფასებისთვის შემუშავებულია გამჭვირვალე კრიტერიუმები, რომლებიც საჯარო და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის. ყოველწლიური თვითშეფასების ანგარიშის ფორმა განისაზღვრება დაწესებულების ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შესაბამისი დანართით - „პერსონალის მართვის პოლიტიკა“. თვითშეფასების ანგარიშში ჩამოთვლილია სამეცნიერო აქტივობები, თითოეულ მათგანს კი მინიჭებული აქვს შესაბამისი ხვედრითი ქულა.

დაწესებულებაში, სამეცნიერო-კვლევითი სამსახურისა და ფაკულტეტების მხარდაჭერით, ყოველწლიურად ტარდება საფაკულტეტო და საუნივერსიტეტო სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო კონფერენციები. 2018 წელს (25-28 ოქტომბერი), დაწესებულებამ უმასპინძლა სპორტის მეცნიერების მსოფლიო ფორუმს. ამ საერთაშორისო სამეცნიერო კონგრესზე, „ოლიმპიური სპორტი და სპორტი ყველასათვის“, მონაწილეობდა მსოფლიოს 17 ქვეყნის სპორტის 54 უმაღლესი სასწავლებლის 122-მა წარმომადგენელი. ექვსი სამეცნიერო მიმართულებით განხილული იყო „ოლიმპიური სპორტისა და სპორტი ყველასათვის“ აქტუალური საკითხები, კერძოდ: თანამედროვე სპორტში, კადრების მომზადების და გადამზადების პრობლემები; სამედიცინო-ბიოლოგიური და ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური ასპექტები; გენდერის პრობლემატიკა; ბავშვთა და მოზარდთა სპორტი; სპორტული რეზერვის მომზადების პრობლემები; სპორტი შეზღუდული შესაძლებლობის პირთათვის და ადაპტიური სპორტი. 2020-2021 წლებში ჩატარდა კონფერენციები, რაც დასტურდება ვებ-გვერდზე არსებული დოკუმენტური მასალებით. აკადემიური პერსონალი, რომელთა სამეცნიერო ნაშრომებსაც განსაკუთრებით მაღალი სამეცნიერო ღირებულება გააჩნიათ, დაჯილდოვდნენ შესაბამისი სერტიფიკატებით და მათ მიმართ განხორციელდა ფინანსური წახალისება.

დაწესებულებამ 2021 წელს, მემორანდუმი გააფორმა ი. ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრთან, რაც დაწესებულების პერსონალს დისციპლინათაშორისო კვლევების ჩატარების საშუალებას მისცემს. დაწესებულების აქტივობა მიუთითებს აკადემიური პერსონალის განვითარებაზე, თუმცა რეკომენდირებულია პერსონალის საერთაშორისო ტრენინგების და

გადამზადების უფრო მეტად ხელშეწყობა დაწესებულების მიერ, საერთაშორისო პროექტებში ჩართვა, გამოცდილების გაზიარება და ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების განხორციელება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამეცნიერო-კვლევითი სამსახურის დებულება;
- სამეცნიერო-კვლევითი სამსახურის მუშაობის ანგარიში, 2021 წ, Scopus-ზე გამოქვეყნებული პუბლიკაციები;
- კვლევითი საქმიანობის წახალისების, მხარდაჭერისა და დაფინანსების წესი;
- აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით განხორციელებული ღონისძიებები (ტრენინგები, სამუშაო მივლინებები, კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები, კონფერენციები, გაცვლითი, საერთაშორისო და/ან ადგილობრივი პროექტები);
- კვლევითი საქმიანობის ხარისხისა და პერსონალის კვლევითი პროდუქტიულობის შეფასების წესი;
- პერსონალის მართვის პოლიტიკა;
- ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის დებულება;
- მწვრთნელთა ფაკულტეტზე განხორციელებული კვლევები.

რეკომენდაციები

- რეკომენდირებულია პერსონალის საერთაშორისო ტრენინგების და გადამზადების უფრო მეტად ხელშეწყობა დაწესებულების მიერ, საერთაშორისო პროექტებში ჩართვა, გამოცდილების გაზიარება და ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების განხორციელება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	☐	☒	☐	☐

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი სახელმძღვანელო და მეთოდური ქართულ და ინგლისურენოვანი ლიტერატურით. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი უზრუნველყოფს სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული სახელმძღვანელოებით, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო ლიტერატურით. წიგნადი ფონდის ელექტრონული კატალოგი და ელექტრონული სახელმძღვანელოები, განთავსებულია უნივერსიტეტის საიტზე. ბიბლიოთეკის წარმომადგენელთან გასაუბრებისას დადასტურდა ონლაინ კატალოგის არსებობა და წიგნებზე თავისუფალი წვდომა.

დაწესებულების მფლობელობაში არსებულ 34494 კვ.მ. ფართობზე განთავსებულია კალათბურთის, ფრენბურთის, ტანვარჯიშის, ძიუდოს/აღმოსავლური ორთაბრძოლების და კრივის დარბაზები, ფეხბურთის დიდი სტადიონი მძლეოსნური სექტორებით, მინი ფეხბურთის მოედანი, ჩოგბურთის კორტები, ფიტნესის კაბინეტი და სასროლო ტირი. სპორტული ბაზები სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია შეუზღუდავად.

დაწესებულების მენეჯმენტთან და აკადემიურ პერსონალთან გასაუბრებისას გამოირკვა, რომ ზოგადად დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის საკითხი დგას პრობლემის წინაშე, მიმდინარეობს აქტიური მუშაობა და მოლაპარაკებები არსებული საკითხის მოსაგვარებლად. გაფორმებულია ვადიანი (დროებითი) ხელშეკრულებები და მემორანდუმები, რის საფუძველზეც პროგრამა უზრუნველყოფილია იმ მინიმალური ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც აუცილებელია მის განსახორციელებლად. აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე რთულია პროგრამის მდგრადობის შესახებ რაიმე სახის დასკვნის გაკეთება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- მემორანდუმები და ხელშეკრულებები;
- საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- სპორტული აღჭურვილობის შესყიდვის/ფლობის დოკუმენტაცია (სპეცინვენტარი);
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები

- რეკომენდირებულია პროგრამის განხორციელების აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით სტაბილური უზრუნველყოფა, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.4 მატერიალური რესურსი	☐	☒	☐	☐

4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის ბიუჯეტის შედგენის პროცესში ჩართულია ფაკულტეტის დეკანი პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად. ბიუჯეტის შედგენისას ხდება პროგრამის საჭიროებების შეფასება, პრიორიტეტული ხარჯების გამოყოფა და გათვალისწინება, ასევე, პროგრამის ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯების განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით პროგრამისა და ფაკულტეტის შემოსავლების გათვალისწინება

დწესებულების მიერ წარმოდგენილია 2022-2023 სასწავლო წლის ბიუჯეტი (სტუდენტთა რაოდენობა -12, პროგრამის შემოსავალი 27 000 ლარი, სხვა შემოსავლები 8850 ლარი), რომლის მიხედვითაც აკადემიური და მოწვეული პერსონალის შრომის ანაზღაურება მოიცავს 18 750 ლარს, ხოლო მათ კვალიფიკაციის ამაღლებაზე 1000 ლარს. რაც შეეხება კვლევით საქმიანობაზე მიმართულ ხარჯს, განსაზღვრულია 4000 ლარის ოდენობით. სახელმძღვანელოების შეძენისთვის გამოყოფილია 1000 ლარი.

ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამას არ ჰყავს შესაბამისი რაოდენობა სტუდენტებისა და ამ ეტაპზე იმყოფება დოტაციურ რეჟიმში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საფინანსო და შესყიდვების დეპარტამენტის დებულება;
- პროგრამის ბიუჯეტი.

რეკომენდაციები

- პროგრამის ფინანსური მდგრადობისთვის, რეკომენდირებულია სტუდენტების მოზიდვის კამპანიის განხორციელება და საგრანტო პროექტებში მონაწილეობა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.5 პროგრამის/ ფაკულტეტის/ სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	☐	☒	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების

ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამების (შემდგომში - პროგრამა) შემუშავების და განვითარების საკითხებს არეგულირებს დაწესებულებაში მოქმედი დოკუმენტი „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“, რომლითაც განისაზღვრება: პროგრამის დაგეგმვის ეტაპები (ინიცირება პროგრამის შემუშავების/მოდიფიცირების საჭიროების დადგენის შედეგად; პროგრამის დაგეგმვა/შემუშვებაში ჩართული პერსონალის და სტუქტურული ერთეულების განსაზღვრა; პროგრამისთვის აუცილებელი ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსების არსებობის და/ან მოძიების პერსპექტივების განსაზღვრა; პროგრამის დასახელების, მისანიჭებელი კვალიფიკაციის, სწავლების ენის განსაზღვრა, მოთხოვნები პროგრამის მიმართ; პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუმენტები და პროგრამის შეფასებისა და განვითარების მექანიზმები; პროგრამის შემუშავებისა და დამტკიცების წესი, პროგრამაში ცვლილებების შეტანის წესი, პროგრამის გაუქმების საფუძვლები და პროცედურა.

ზემოთ მითითებული დოკუმენტის შესაბამისად, წარიმართა აკრედიტაციაზე წარდგენილი პროგრამის მოდიფიცირება, კერძოდ - შეიქმნა სამუშაო ჯგუფი და განისაზღვრა მისი შემადგენლობა: პროგრამის ხელმძღვანელი (სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე), განმახორციელებელი პერსონალის წარმომადგენლები, სტუდენტი და კურსდამთავრებული (პროგრამის ხელმძღვანელის განმარტებით, შერჩეულნი იყვნენ ყველაზე მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე პირები). ასევე, სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში შევიდა ორი დამსაქმებელი. სამუშაო ჯგუფის მიზანს წარმოადგენდა პროგრამის განხილვა კანომდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობის ჭრილში, პროგრამის განხორციელების პერიოდში მიღებული სხვადასხვა მომაცემების და დაინტერესებული მხარეების მოსაზრებების შესწავლა, არსებული ანალოგი პროგრამების ანალიზი, პროგრამაში და მის კომპონენტებში გასაუმჯობესებელი ასპექტების დადგენა და ცვლილებების შეტანა, პროგრამის გარე შეფასება, პროგრამის საბოლოო პროექტის ჩამოყალიბება, შესაფასებლად ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისთვის გადაცემა და დადებითი დასკვნის შემთხვევაში - დასამტკიცებლად აკადემიური საბჭოსთვის წარდგენა.

პროგრამის მოდიფიცირების პროცესს ასახავს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები, მაგ.: სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმები (N1, 27.04.2021 - განსახილველი საკითხები: სამუშაო ჯგუფის მიერ პროგრამის მიზნისა და სწავლის შედეგების შესახებ გამოთქული მოსაზრებების განხილვა და ასახვა პროგრამაში, პროგრამის სასწავლო გეგმის დახვეწა; N2, 27.09.2021 - განსახილველი საკითხი: პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები) და ფაკულტეტის სხდომის ოქმი (#01, 28.09.2021 - განსახილველი საკითხი - პროგრამის სწავლის შედეგებში და პროგრამის სასწავლო კურსებში განხორციელებული ცვლილებები).

მოდიფიცირების პროცესში ცვლილებები შეეხო პროგრამის როგორც ტექნიკურ მხარეს (გამოყენებულ იქნა 2021 წელს განახლებული კურიკულუმის და სილაბუსების ფორმები), ისე შინაარსობრივ ასპექტებს (მაგ.: დაკორექტირდა/შეიცვალა პროგრამის მიზნები და შედეგები, პროგრამის სასწავლო გეგმა და პროგრამების კომპონენტების სილაბუსებში). პროგრამაში ცვლილებების დაგეგმვისას გათვალისწინებულ იქნა ანალოგი პროგრამების შესწავლის და პროგრამის გარე შეფასების შედეგები. სამუშაო პროცესში დადგინდა პროგრამის შედეგებისა და მათ ფორმირებაში მონაწილე პროგრამის კომპონენტების ურთიერთშესაბამისობა (კურიკულუმის დანართი #1 „სწავლის შედეგების რუკა“), განისაზღვრა პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა და სამიზნე ნიშნულები (კურიკულუმის დანართი #2 „პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა“) და სხვ. პროგრამის პროექტი შემოწმების მიზნით გადაეცა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რომელმაც აკრედიტაციის სტანდარტების ჭრილში შეაფასა პროგრამა და შედეგები ასახა შესაბამის დასკვნაში.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რეკომენდაციით, პროგრამა გადაეცა აკადემიურ საბჭოს, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება პროგრამის დამტკიცების შესახებ (ოქმი #1, 05.10.2021).

ზემოთ მითითებული გარემოებები დასტურდება როგორც დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით, ისე ინტერვიუს შედეგებით: ექსპერტებთან შეხვედრებში მონაწილე პირებმა (თვითშეფასების ჯგუფის წევრებმა, პროგრამის ხელმძღვანელმა, აკადემიური და მოწვეული პერსონალის წარმომადგენლებმა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებმა) ისაუბრეს პროგრამის მოდიფიცირების პროცესზე, იდენტიფიცირებულ საჭიროებებზე და პროგრამაში განხორციელებულ ცვლილებებზე; სტუდენტებმა, კურსდამთავრებულებმა და დამსაქმებლებმა დაადასტურეს, რომ მათი რეკომენდაციები იყო გათვალისწინებული პროგრამის მოდიფიცირების პროცესში. პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ სამუშაო პროცესში მიღებული ინფორმაცია გაანალიზდა სამუშაო ჯგუფის მიერ, რის საფუძველზე დაიგეგმა და განხორციელდა გარკვეული ცვლილებები. სამუშაო ჯგუფის წევრებმა, პროგრამის ხელმძღვანელნა და განმახორციელებლებმა აღნიშნეს, რომ მათ ჰქონდათ სისტემატური კომუნიკაცია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან და სამუშაოს შესრულებისას მიიღეს სათანადო კონსულტირება და მხარდაჭერა. ინტერვიუში მონაწილე პირებთან (მაგ., აკადემიური პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან) ინტერვიუს შედეგად დადასტურდა ხარისხის უზრუნველყოფის სხვადასხვა მექანიზმების გამოყენების ფაქტი (მაგ., გამოკითხვები, ლექციაზე დაკვირვება, სხვ.). ასევე, პროგრამის აკადემიურმა პერსონალმა აღნიშნა, რომ სისტემატურად მიმდინარეობს მათი საქმიანობის შესწავლა-შეფასება, უტარდებათ სხვადასხვა ტრეინინგები, მაგ., სწავლა-სწავლების და შეფასების მეთოდების, ელექტრონული სწავლების თავისებურებების საკითხებზე და სხვ. დაწესებულებას ეთხოვა ელექტრონული სწავლების მეთოდოლოგიასთან დაკავშირებული ინფორმაციის წარდგენა. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები („ელექტრონული სწავლების დროს ხარისხის უზრუნველყოფის მიდგომები და მეთოდები", „ელექტრონული სწავლების მეთოდები და საშუალებები. მოკლე მიმოხილვა და სამუშაო გეგმა") კომპლექსურია და მოიცავს ელექტრონული სწავლების როგორც საორგანიზაციო, ისე მეთოდოლოგიურ საკითხებს.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებზე და ინტერვიუს შედეგებზე დაყრდნობით, გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები:

- დაწესებულებაში არსებულ პროგრამების დაგეგმვას, შემუშავებას და განვითარებას აქვს რელევანტური და საკმარისი თეორიული საფუძვლები. (დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტებით;
- პროგრამის განვითარება თანამშრომლობითი პროცესია და ხორციელდება დაინტერესებული მხარეების ჩართულობით. (დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტებით, ინტერვიუს შედეგებით);
- პროგრამის განვითარება კომპლექსური პროცესია, მისი შემადგენელი ნაწილია უცხოეთის უსდების ანალოგიურ პროგრამებთან დადარება, დაინტერესებული მხარეები მოსაზრებების შესწავლა, პროგრამის შიდა და გარე შეფასება. (დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტებით, ინტერვიუს შედეგებით);
- დაწესებულებაში ხარისხის უზრუნველყოფა და შეფასება - გამჭვირვალე პროცესია. განსაზღვრულია ამ პროცესის ეტაპები, გამოიყენება წინასწარ დადგენილი მეთოდები და მექანიზმები, უნიფიცირებული ფორმები და სხვ. შეფასების პროცედურები განსაზღვრული პერიოდულობით ხორციელდება. (დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტებით, ინტერვიუს შედეგებით);
- შეფასების პროცესში მიღებული შედეგები აისახება სხვადასხვა ანგარიშებში და ანალიზის დოკუმენტებში, შეფასების შედეგები ცნობილია დაინტერესებული მხარეებისთვის. (დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტებით, ინტერვიუს შედეგებით);
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ჩართულია როგორც შეფასების, ისე პერსონალის ინფორმირების და კონსულტირების პროცესში. პროგრამაში ჩართული პერსონალი ფლობს ინფორმაციას დაწესებულებაში მოქმედი წესების, შეფასების მიდგომებისა და მექანიზმების შესახებ, თანამშრომლობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, იღებს სათანადო ინფორმაციას, კონსულტაციებსა და მხარდაჭერას. (დასტურდება ინტერვიუს შედეგებით);

- მოქმედებს პერსონალის განვითარების სისტემა (იხ. „პერსონალის მართვის პოლიტიკა“, მ.9), რომელიც გულისხმობს სხვადასხვა მექანზმების გამოყენებას - მაგ., ტრეინიგებს, გაცვლით პროგრამებს, ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში ჩართულობას, დაწესებულების კვალიფიკაციის ამაღლების ცენტრში დაგეგმილ კურსებში ჩართვას და სხვ. (დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტებით, ინტერვიუს შედეგებით).

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების, ინტერვიუს შედეგებისა და ზემოთ მითითებული გარემოებების ერთობლიობა უზრუნველყოფს სტანდარტის წინამდებარე კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო“;
- „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“;
- „საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი“
- „ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება“;
- „ლექციაზე დაკვირვების ფორმა“;
- „პერსონალის მართვის პოლიტიკა“;
- „კვლევითი საქმიანობის ხარისხისა და პერსონალის კვლევით პროდუქტიულობის შეფასების წესი“;
- სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის ბრძანება #01-14, 16.02.2021;
- მწვრთნელთა ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმები (#01, 28.09.2021; #06, 26.01.2021);
- სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმები (#01, 27.04.2021; #02, 27.10.2021)
- აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმიდან (#01, 05.10.2021) ამონაწერი;
- „ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დასკვნა პროგრამის შესახებ“, 30.09.2021
- „მწვრთნელთა ფაკულტეტი. განხორციელებული კვლევების შესახებ ანგარიში ფაკულტეტების/დეპარტამენტების მიხედვით (აკადემიური პერსონალის აფილირების მიხედვით). 2018-2022“;
- „პროგრამის გარე შეფასების მიზნით წარმოებული კვლევების ანალიზი. 13.03. 2021“;
- „პროგრამის გარე შეფასების მიზნით წარმოებული კვლევების ანალიზი. 20.02. 2021“;
- „სტუდენტების და კურსდამთავრებულების მიერ პროგრამის შეფასება. 2021“;
- „ანალოგიურ პროგრამებთან შედარების ანალიზი. 20.02.2021“;
- „სპორტისა და კულტურის სამსახურის ანგარიში. 2019-2022“;
- „საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის ანგარიში. 2015-2022“;
- სტუდენტთა კარიერული განვითარებისა და კურსდამთავრებულთა დასაქმების სამსახურის ანგარიში. 2021-2022“;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის კმაყოფილების კვლევა. 2022“;
- „ელექტრონული სწავლების დროს ხარისხის უზრუნველყოფის მიდგომები და მეთოდები“ (დამატებით წარმოდგენილი);
- „ელექტრონული სწავლების მეთოდები და საშუალებები. მოკლე მიმოხილვა და სამუშაო გეგმა“ (დამატებით წარმოდგენილი);
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები

- არ არის.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.1 შიდა ხარისხის შეფასება	☒	☐	☐	☐

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის გარე შეფასება განხორციელდა პროგრამის მოდიფიცირების პროცესში და მისი შედეგები გახდა პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების ერთ-ერთი საფუძველი. წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, პროგრამის გარე შეფასება განხორციელდა 3-ჯერ (2020 წლის 15-20 ივნისს, 2021 წლის 20 თებერვალს და 13 მარტს):

1) პირველ შეფასებაში მონაწილეობდა 152 რესპოდენტი, მათ შორის - დამსაქმებლები, დარგის სპეციალისტები (სპორტის სხვადასხვა სახეობის მწვრთნელები), ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი, ბაკალავრისტის და მაგისტრატურის სტუდენტები, ბაკალავრისტის და მაგისტრატურის კურსდამთავრებულები. შემუშავდა კითხვარი (Google Forms-ის სახით), რომელიც მოიცავდა მაგისტრატურის პროგრამასთან დაკავშირებულ კითხვებს, მათ შორის:

- 4 დახურულ კითხვას (სამაგისტრო პროგრამის მიზანი რამდენად შეესაბამება დარგის სპეციფიკას და სამუშაო ბაზრის მოთხოვნებს? სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები რამდენად შეესაბამება დარგის სპეციფიკას და სამუშაო ბაზრის მოთხოვნებს? სამაგისტრო პროგრამის სწავლება-სწავლის მეთოდები რამდენად შეესაბამება დარგის სპეციფიკას და სამუშაო ბაზრის მოთხოვნებს? სამაგისტრო პროგრამის ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსები რამდენად შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას?);
- ერთ ღია კითხვას (რამდენად შეესაბამება სტუდენტის მიერ ათვისებული თეორიული და პრაქტიკული კომპონენტები დასაქმების სფეროებს? რა არის საგანმანათლებლო პროგრამის ძლიერი და სუსტი მხარეები? რა ცვლილებებს განახორციელებდით არსებულ პროგრამაში?).

2) მეორე გარე შეფასებაში (გამოკითხვაში) მონაწილეობდა 69 რესპოდენტი: ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სფეროში დასაქმებული პირები - საჯარო სკოლების ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლები, სპორტის სხვადასხვა სახეობაში მომუშავე მწვრთნელები (ძიუდოს მწვრთნელები, ფეხბურთის მწვრთნელები, რაგბის მწვრთნელები და ა.შ.), ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი, სტუდენები და კურსდამთარებულები. შემუშავდა კითხვარი (Google Forms-ის სახით), რომელიც მოიცავდა:

- 4 დახურულ კითხვას (სამაგისტრო პროგრამის მიზანი რამდენად შეესაბამება დარგის სპეციფიკას და სამუშაო ბაზრის მოთხოვნებს? სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები რამდენად შეესაბამება დარგის სპეციფიკას და სამუშაო ბაზრის მოთხოვნებს? სამაგისტრო პროგრამის სწავლება-სწავლის მეთოდები რამდენად შეესაბამება დარგის სპეციფიკას და სამუშაო ბაზრის მოთხოვნებს? სამაგისტრო პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები, რამდენად შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას?);
- ერთ ღია კთხვას (რამდენად შეესაბამება სტუდენტის მიერ ათვისებული თეორიული და პრაქტიკული კომპონენტები დასაქმების სფეროებს? რა არის საგანმანათლებლო პროგრამის ძლიერი და სუსტი მხარეები? რა ცვლილებებს განახორციელებდით არსებულ პროგრამაში?“).

3) მესამე გარე შეფასებაში (გამოკითხვაში) მონაწილეობა მიიღო 26-მა რესპოდენტმა - საქართველოში არსებული თითქმის ყველა სპორტული ფედერაციის, პროგრამის აკადემიური პერსონალის, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების წარმომადგენლებმა, რომლებსაც პროგრამის პროექტი გასაცნობად წინასწარ გაეგზავნათ. შემუშავდა კითხვარი (Google Forms-ის სახით), რომელიც მოიცავდა 9 კითხვას (1. რას ფიქრობთ, სამაგისტრო პროგრამის მიზანი რამდენად შეესაბამება დარგის სპეციფიკას და სამუშაო ბაზრის მოთხოვნებს? 2. რას ფიქრობთ, სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები რამდენად შეესაბამება დარგის სპეციფიკას და სამუშაო ბაზრის მოთხოვნებს? 3. რას

ფიქრობთ, სამაგისტრო პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსები რამდენად შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას? 4. თქვენი აზრით, სამაგისტრო პროგრამის გავლის შემდეგ, რამდენად იქნება კურსდამთავრებული პროფესიული/საწვრთნელო ცოდნისა და უნარების მხრივ, სხვებისაგან გამორჩეული? 5. ხომ არ ფიქრობთ, რომ რომელიმე სასწავლო კურსს კრედიტი ან საკონტაქტო საათი უნდა გაეზარდოს ან შეუმცირდეს? 6. გთხოვთ დაასახელოთ, რომელ სასწავლო კურსებს დაამატებდით პროგრამის სასწავლო გეგმას? 7. გთხოვთ დაასახელოთ, რომელ სასწავლო კურსებს ამოიღებდით პროგრამის სასწავლო გეგმიდან? 8. დამატებით, რა ცოდნასა და უნარებს ისურვებდით, რომ კურსდამთავრებულები/სტუდენტები ფლობდნენ? 9. სურვილის შემთხვევაში, გთხოვთ, გამოთქვათ დამატებითი მოსაზრებები, სამაგისტრო პროგრამის ირგვლივ. მაგალითად: • რამდენად შეესაბამება სტუდენტის მიერ ათვისებული თეორიული და პრაქტიკული კომპონენტები დასაქმების სფეროებს? • რა არის საგანმანათლებლო პროგრამის ძლიერი და სუსტი მხარეები? • რა ცვლილებებს განახორციელებდით არსებულ პროგრამაში?).

მიღებული შეფასებების უმეტესობა დადებითია („ძირითადად შეესაბამება“, „სრულად შეესაბამება“), თუმცა აღსანიშნავია, რომ ზემოთ მითითებული გამოკითხვები ჩაუტარდათ ერთობლივად სხვადასხვა კატეგორიის რესპოდენტებს (დამსაქმებელი/სტუდენტი/კურსდამთავრებული), მათ მიერ ღია კითხვებზე გაცემული პასუხები განზოგადებულია და არ იკვეთება რა მოსაზრებები და რეკომენდაციები ჰქონდათ უშუალოდ დამსაქმებლებს, სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია პროგრამის გარე შეფასება განხორციელდეს არა საერთო გამოკითხვის ფორმატში, არამედ რესპოდენტთა მიზნობრივი ჯგუფების (მათ შორის, ინდივიდუალურად დარგის სპეციალისტების) მიერ, რაც გაზრდის მიღებული შეფასებების ვალიდურობას.

პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ არც ერთი გამოთქმული მოსაზრება არ დარჩა რეაგირების გარეშე, მაგალითად:

- „შესაბამისი დაფინანსების შემთხვევაში სპეციალურ ლაბორატორიაში ჩავატარებდი კვლევებს“ (რეაგირება: დაწესებულებაში მაგისტრანტების კვლევითი საქმიანობა ხელშეწყობილია სამეცნიერო კონფერენციაში და საუნივერსიტეტო სემინარებში ჩართულობით. ამავდროულად, საკითხის გადაჭრის მიზნით იქნება გამოყენებული საერთაშორისო პარტნიორობა (გაცვლითი პროგრამების ჩათვლით) უცხოეთის იმ უსდ-ებთან, რომლებსაც აქვს კვლევითი ინფრასტრუქტურა (მაგ., კაუნასის უნივერსიტეტი);
- „ყურადღება გასამახვილებელია პრაქტიკული მიმართულებით, უნივერსიტეტში სწავლის დროს“ (რეაგირება: გაზრდილია პროგრამაში სპეცილიზაციის კომპონენტი, რამაც გააძლიერა პროგრამის პრაქტიკული ნაწილიც);
- „სტუდენტებს მიეცეს საშუალება, რომ დასწრებოდნენ 2-3 საერთაშორისო შეჯიბრებას, მწვრთნელის ასისტენტის რანგში“ (რეაგირება: პრაქტიკული და მომავალი პროფესიული საქმინობისთვის აუცილებელი უნარების გაძლიერება ხორციელდება „პროფესიული პრაქტიკის (სამწვრთნელო პრაქტიკის)“ ფარგლებში, ასევე სხვადასხვა შეკრებების და წვრთნების ეტაპზე. ინტერვიუს დროს დამსაქმებლებმა დაადასტურეს ამის შესაძლებლობა და აღნიშნეს, რომ უშუალოდ შეჯიბრებებში მწვრთნელის ასისტენტის რანგში ჩართულობა ვერ განხორციელდება, რადგან შეჯიბრებებისთვის განსაზღვრულია ამ უფლების მქონე პირთა ვინაობა და რაოდენობა);
- „იმ სტუდენტებისთვის დისტანციური სწავლებაის საჭიროება, ვინც სპორტულ შეკრებაზე ან შეჯიბრებააზე იმყოფებიან“ (რეაგირება: ამ მიზნით გამოიყენება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, სადაც მაქსიმალურად ხდება სტუდენტის საჭიროებების და სპორტული აქტივობების განრიგის გათვალისწინება);
- „ვისურვებდი სპეციალობის 1 საათით გაზრდა“ (რეაგირება: პროგრამას დაემატა მე-3 სპაციალიზაცია, ამით მოხდა სპეციალიზაციის ბლოკისთვის საათების გაზრდა);
- „პრაქტიკული ცოდნის შეძენა ქვეყნის ფარგლებს გარეთ“ (რეაგირება: უცხოეთის უსდ-ებთან მემორანდუმების ფარგლებში მოხდება ამ შესაძლებლობის გათვალისწინება;

- „უფრო მეტი უცხო ენა: ინგლისური, გერმანული, ფრანგული“ (რეაგირება: პროგრამას დაემატა „დარგობრივი ინგლისური ენა“);
- „პრაქტიკული მუშაობა“ (რეაგირება: პროგრამას დაემატა სპეციალიზაციის კიდევ ერთი კომპონენტი, რაც ზრდის პრაქტიკული მუშაობის საათებს);
- „ლიტერატურის გადახედვა, მისი შევსება თანამედროვე და აქტუალური სახელმძღვანელოებით“ (რეაგირება: ლიტერატურის განახლება განხორციელდა პროგრამის კომპონენტების ფარგლებში).

გამოკითხვის შედეგენის დაჯამებით, სამუშაო ჯგუფმა მიიჩნია, რომ „სამაგისტრო პროგრამის მიმართ გარე შემფასებლების მხრიდან არ გამოვლენილა რაიმე სახის მნიშვნელოვანი უარყოფითი დამოკიდებულება. ისინი ძირითადად იზიარებენ პროგრამის მიზნის ამჟამინდელ ფორმულირებას, რელევანტურად მიაჩნიათ სწავლის შედეგები და სასწავლო კურსებთან (სახელწოდება, შინაარსი და სხვა) მიმართებით პოზიტიურ დამოკიდებულებას ავლენენ. მათი აზრით, აღნიშნული პროგრამის დამთავრების შემდეგ, კურსდამთავრებული ნამდვილად იქნება სხვებისაგან გამორჩეული პროფესიული (თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები) ნიშნით“, რაც ინტერვიუს დროს დაადასტურეს დამსამებლებმა და დადებითად შეაფასეს პროგრამა.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების, ინტერვიუს შედეგების და ზემოთ მითითებული გარემოებების ერთობლიობა უზრუნველყოფს სტანდარტის წინამდებარე კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „პროგრამის გარე შეფასების მიზნით წარმოებული კვლევების ანალიზი. 20.02. 2021“;
- „პროგრამის გარე შეფასების მიზნით წარმოებული კვლევების ანალიზი. 13.03. 2021“ (შენიშვნა: ასევე, მოიცავს 2020 წლის 15-20 ივნისის გამოკითხვის შედეგებს);
- პროგრამის სასწავლო გეგმა;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები

- არ არის.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- მიზანშეწონილია პროგრამის გარე შეფასება განხორციელდეს არა საერთო გამოკითხვის ფორმატში, არამედ მიზნობრივი ჯგუფების, მათ შორის დარგის სპეციალისტების, მიერ ინდივიდუალურად, რაც უზრუნველყოფს მიღებული შეფასებების ვალიდურობას;
- მიზანშეწონილია საგანმანათლებლო პროგრამის გარე შეფასება განხორციელდეს არამხოლოდ საქართველოს, არამედ უცხოეთის უსდ-ების დარგის სპეციალისტების მიერ, რაც ხელს შეუწყობს პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობას და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარების შესაძლებლობას.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.2 გარე ხარისხის შეფასება	☒	☐	☐	☐

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის

გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამებისა და მათი განხორციელების შეფასების საკითხებს აწესრიგებს დაწესებულებაში მოქმედი „შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო“, რომლის თანახმად მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფისა და განვითარებისათვის გამოიყენება შემდეგი ინსტრუმენტები: სტუდენტთა მიღების, პროგრამის დასრულებისა და მათი განთესვის მაჩვენებლის ანალიზი; სტუდენტების დასაქმების მაჩვენებელი; სტუდენტთა კვლევით პროექტებში ჩართულობის მაჩვენებელი: სტუდენტთა საერთაშორისო მობილობის მაჩვენებელი; კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი; სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის შედეგები; პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის დენადობის მაჩვენებელი; პროგრამაში ჩართული პერსონალის საქმიანობის შეფასება; დაინტერესებული პირების - სტუდენტების, აკადემიური/მოწვეული პერსონალის, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების გამოკითხვა; გარე შეფასების შედეგები. შეფასების ინსტრუმენტების გამოყენებასთან დაკავშირებბით აღსანიშნავია შემდები:

- რაოდენობრივი ინდიკატორებით პროგრამის შეფასება - ხარიხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლის განმარტებით, მიმდინარეობს სხვადასხვა სტატისტიკურ მომაცემებზე დაკვირვება, თუმცა ბოლო 5 წლის (2017-2021) განმავლობაში პროგრამაზე სტუდენტთა რაოდენობის სიმწირის გამო, ნაკლებად ეფექტიანია პროგრამის შეფასება ისეთი რაოდენობრივი ინდიკატორებით, როგორიცაა, მაგ.: პროგრამით სწავლის მსურველთა და ჩარიცხულთა თანაფარდობა, პროგრამიდან სტუდენტთა განდინების (სტატუსის შეწყვეტის, გარე/შიდა მობილობით პროგრამიდან გადასვლის) მაჩვენებელი, სტუდენტთა საერთო რაოდენობიდან საერთაშორისო მობილობაში/კვლევებში ჩართული სტუდენტების მაჩვენებელი; სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა საერთო რაოდენობაში მიღებული კვალიფიკაციით დასაქმებული სტუდენტების რაოდენობა/მაჩვენებელი და ა.შ. აღნიშნული მოსაზრება რელევანტურია, რაც დასტურდება შემდეგი ინფორმაციით:
  - პროგრამაზე სწავლის მსურველთა და ჩარიცხულთა რაოდენობა მწირია და პრაქტიკულად ემთხვევა ერთმანეთს, ხოლო კურსდამთავრებულთა რაოდენობა უმნიშვნელოდ განსხვავდება პროგრამაზე ჩარიცხულთა რაოდენობისაგან (მაგ., 2017 – 4/4 (კურსდამთავრებულები, 2019 - 3); 2018 - 3/3 (კურსდამთავრებულები, 2020 - 2); 2019 - 1/1 (კურსდამთავრებულები, 2021 - 0); 2020 - 4/4 (კურსდამთავრებულები, 2022 - 2); 2021 - 5/4 (კურსდამთავრებულები - პროგრამის ხანგრძლივობიდან გამომდინარე სწავლა დაასრულებენ 2023 წელს);
  - კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი - 100% (სულ კურსდამთავრებულთა რაოდენობა = 5, ყველა დასაქმებულია მიღებული კვალიფიკაციის შესაბამისად);
  - სტუდენტთა დასაქმების მაჩვენებელი - 100% (სულ სტუდენტთა რაოდენობა = 8, ყველა დასაქმებულია მიღებული კვალიფიკაციის შესაბამისად).
- პროგრამის დაძლევის მაჩვენებელი - გარკვეული კითხვა გაჩნდა კურსდამთავრებულთა შეფასების მაჩვენებელთან დაკავშირებით (ბოლო 5 წლის განმავლობაში: 80% „ძალიან კარგი“, 20% „კარგი“, 0% „ფრიადი“, 0% „დამაკმაყოფილებელი“; 0% „საკმარისი“). ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის განმარტებით, ეს მონაცემები ეყრდნობა სტუდენტთა აკადემიური მოწრების მაჩვენებელს. 2021 წლიდან ამოქმედდა დოკუმენტი „საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი“, მოხდება პროგრამის სწავლის შედეგებისთვის დადგენილ სამიზნე ნიშნულებთან რეალურად მიღწეული მაჩვენებლების დადარება და რეაგირება. ამავე მიზანს ემსახურება პროგრამის კურიკულუმის დანართიები: ცხრილი #1 - „სწავლის შედეგების რუკა“ და ცხრილი #2 – „პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა“, რომელსაც ერთვის შემდეგი განმარტება: „პროგრამის თითოეული სწავლის შედეგის გაზომვა

ხდება პროგრამაში მოცემული სწავლის შედეგებისა და სემესტრული შეფასების გეგმის საფუძველზე, რომლის მიხედვით შეფასება ხდება იმ სემესტრის ბოლოს, სადაც დადგა აღნიშნული სწავლის შედეგი; ეფუძნება კურიკულუმის რუკას და მის საფუძველზე შემუშავებულ სწავლის შედეგების შეფასების გეგმას; დინამიკაში დაკვირვების შედეგად თუ სამიზნე ნიშნულებთან დადარებით გამოვლინდება რეგრესი, მოხდება სწავლის შედეგების და მიღწევის გზების გადახედვა და შესაბამისად პროგრამის მოდიფიცირება". შეფასების გეგმის თანახმად, პირდაპირი შეფასება განხორციელდება 2022-2023 სასწავლო წლის ბოლოს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის განმატებით, ზემოთ მითითებული პირდაპირი შეფასების მეთოდის გამოყენება ეფექტიანი იქნება პროგრამაზე სტუდენტთა რაოდენობის გაზრდის შემთხვევაში;

- პერსონალის შეფასების მექანიზმები - აკადემიური პერსონალის შეფასება ხდება დაწესებულებაში მოქმედი წესების შესაბამისად. პერსონალის შეფასების მიზნით გამოიყენება სასწავლო პროცესზე დაკვირვება, კოლეგიალური შეფასება, სტუდენტთა მიერ განმახორციელებლების შეფასება და სხვ. აკადემიური პერსონალის შემთხვევაში, შეფასების კომპონენტია პერსონალის სამეცნიერო საქმიანობა (პროგრამის აკადემიური პერსონალის სამეცნიერო აქტივობები მითითებულია სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ანგარიშებში - 2013-2019, 2020, 2021). ამ მექანიზმის გამოყენება დასტურდება როგორც პერსონალის გამოკითხვის შედეგებით (გამოკითხულთა 79%-მა აღნიშნა, რომ შეფასების სისტემა არსებობს და იციან მის შესახებ), ისე ინტერვიუს შედეგებით. ინტერვიუში მონაწილე პირებმა აღნიშნეს, რომ შეფასების შედეგები გამოიყენება მატერიალური და არამატერიალური წახალისების მიზნით (მაგ., კონფერენციაში მონაწილეობის დაფინანსება, მადლობის გამოცხადება, სხვ.);
- დაინტერესებული პირების (სტუდენტების, აკადემიური/მოწვეული პერსონალის, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების) მოსაზრებების და დამოკიდებულებების შესწავლა - მიმდინარეობს ძირითადად გამოკითხვის მეთოდით. გამოკითხვები გამოიყენება როგორც დაწესებულების საქმიანობის სხვადასხვა ასპექტების, ისე პროგრამის შეფასების მიზნით. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, ჩატარდა:
  - აკადემიური და მოწვეული პერსონალის კმაყოფილების კვლევა (იხ. „აკადემიური და მოწვეული პერსონალის კმაყოფილების კვლევა. 2022"). შესწავლია საგანი იყო, მაგალითად პოტენციური დამსაქმებლებისჩართულობა პროგრამების შემუშავება/გაუმჯობესების პროცესში, პერსონალის ჩართულობა საგანმანათლებლო პროგრამების გაუმჯობესების პროცესში; პერსონალის ჩართულობა სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში, დაწესებულების რეაგირება რეაგირებს ეთიკისა და ქცევის წესების დარღვევის ფაქტებზე. შეფასებები მთლიანობაში იყო დადებითი, ძირითადი რეკომენდაციები კი ეხებოდა პერსონალის წახალისების მექანიზმების დანერგვას, კვლევითი საქმიანობის წახალისებას, კვლევითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციას, პერსონალის უცხო ენის კომპეტენციის ამაღლების ხელშწყობას, სასწავლო პროცესში გამოყენებული ფიზიკური გარემოს გაუმჯობესებას;
  - სტუდენტების და კურსდამთავრებულების გამოკითხვა (იხ. „სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების მიერ პროგრაის შეფასება", 2021), რესპოდენტები: სულ 5, საიდანაც 3 - სტუდენტი და 2 კურსდამთავრებული. შესწავლია საგანი იყო: დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური რესურსები; დაწესებულების საბიბლიოთეკო რესურსი; სასწავლო პროცესის ორგანიზება; დაწესებულების მხრიდან სტუდენტების მხრდაჭერა; პროგრამის სწავლის მიზანი/შედეგი/სასწავლო გეგმა; სტუდენტების ღიაობა დაწესებულების მიმართ მიმართ; სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა დამოკიდებულებები. შეფასებები მთლიანობაში იყო დადებითი, ძირითადი რეკომენდაციები კი ეხებოდა სასწავლო პროცესში გამოყენებულ ლიტერატურას: „ლიტერატურა არის გასაახლებელი, ძველი ტექნიკების სწავლება უნდა ჩანაცვლდეს ახალი მეთოდებით და მათი ძირითადი პრობლემა მდგომარეობს ელექტრონული ლიტერატურის ქართულ ენაზე ხელმისაწვდომობაში. უკეთესი და სასურველი იქნება რომ თამანედროვე ლიტერატურა იყოს მშობლიურ ენაზე მოწოდებული, თუმცა არ მიიჩნევენ, რომ

ეს მხოლოდ დაწესებულების ბრალია“. დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, ონლაინ სწავლების პერიოდში სწავლებაში დაინერგა სხვადასხვა ინტერნეტრესურსების გამოყენების პრაქტიკა, რაც ახლაც წარმატებით გამოიყენება;

- გამოკითხვა პროგრამის შეფასების მიზნით (იხ.„პროგრამის გარე შეფასების მიზნით წარმოებული კვლევების ანალიზი. 20.02. 2021“; „პროგრამის გარე შეფასების მიზნით წარმოებული კვლევების ანალიზი. 13.03. 2021“ (შენიშვნა: ასევე, მოიცავს 2020 წლის 15-20 ივნისის გამოკითხვის შედეგებს) ამ გამოკითხვების შედეგები დეტალურად არის განხილული მე-5 სტანდარტის 5.2. კომპონენტში.

ინტერვიუში მონაწილე პირებმა დაადასტურეს, რომ დაწესებულებაში მიმდინარეობს მათი მოსაზრებების შესწავლა, პროგრამის ხელმძღვანელმა კი ისაუბრა გამოკითხვების და დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციის შედეგად პროგრამაში განხორციელებულ ცვლილებებზე. ასევე, პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ პროგრამის განვითარების პროცესისთვის მნიშვნელოვანია ანალოგი პროგრამების შესწავლა. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით დგინდება, რომ შესწავლის მიზნით შერჩეულ იქნა: საარლანდის უნივერსიტეტი, სპორტის მეცნიერების ინსტიტუტი, ზაარბრუკენი, გერმანია; სამეფო კოლეჯი, პენსილავნია, აშშ; სან ანტონიოს უნივერსიტეტი, ესპანეთი. შესადარებელი მიმართულებები იყო: პროგრამის ხანგრძლივობა და მისანიჭებელი კვალიფიკაცია; კურიკულუმი, ინდიკატორები: სწავლების პერიოდი; პროგრამების სასწავლო კონტენტი. პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ პროგრამის მოდიფიცირების დაწყებამდე პროგრამის გუნდმა შეისწავლა ათამდე სხვადასხვა პროგრამა და შეჩერდა პროგრამებზე, რომლებიც მეტად შეესაბამებოდა პროგრამის გუნდის ხედვას და ავტორიზებულ რეჟიმში პროგრამის განხორციელებით უკვე არსებულ გამოცდილებას. აქვე აღსანიშნავია, რომ უცხოეთის სხვადასხვა უსდ-ებთან დაწესებულებას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები, რომლებიც მოიაზრებენ პერსონალის და სტუდენტების გაცვლით პროგრამებს. შესაბამისად, ეს თანამშრომლობაც შეიძლება იყოს გამოყენებული საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების მიზნით.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების, ინტერვიუს შედეგების და ზემოთ მითითებული გარემოებების ერთობლიობა უზრუნველყოფს სტანდარტის წინამდებარე კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო“;
- „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“;
- „საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი“
- „ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება“;
- „ლექციაზე დაკვირვების ფორმა“;
- „პერსონალის მართვის პოლიტიკა“;
- „კვლევითი საქმიანობის ხარისხისა და პერსონალის კვლევით პროდუქტიულობის შეფასების წესი“;
- მწვრთნელთა ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმები (#01, 28.09.2021; #06, 26.01.2021);
- სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმები (#01, 27.04.2021; #02, 27.10.2021)
- „მწვრთნელთა ფაკულტეტი. განხორციელებული კვლევების შესახებ ანგარიში ფაკულტეტების/დეპარტამენტების მიხედვით (აკადემიური პერსონალის აფილირების მიხედვით). 2018-2022“;
- სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ანგარიშებში (2013-2019, 2020, 2021) ;
- „სპორტისა და კულტურის სამსახურის ანგარიში. 2019-2022“;
- სტუდენტთა კარიერული განვითარებისა და კურსდამთავრებულთა დასაქმების სამსახურის ანგარიში. 2021-2022“;
- „საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის ანგარიში. 2015-2022“;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის კმაყოფილების კვლევა. 2022“;
- „სტუდენტების და კურსდამთავრებულების მიერ პროგრამის შეფასება. 2021“;
- „პროგრამის გარე შეფასების მიზნით წარმოებული კვლევების ანალიზი. 13.03. 2021“;

- „პროგრამის გარე შეფასების მიზნით წარმოებული კვლევების ანალიზი. 20.02. 2021“;
- „ანალოგიურ პროგრამებთან შედარების ანალიზი. 20.02.2021“;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები

- არ არის.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.3 პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	☒	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში): არ ერთვის.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:

„ფიზიკური აღზრდა და სპორტი (მწვრთნელი)“, მაგისტრატურა

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

შეფასება / სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	☐	☒	☐	☐
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	☒	☐	☐	☐
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	☒	☐	☐	☐
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	☐	☒	☐	☐
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	☒	☐	☐	☐

ხელმოწერები:

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა ხათუნა საგანელიძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

სახელი, გვარი, ხელმოწერა ლევან მჭედლიძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა თამარ გვიანიშვილი

სახელი, გვარი, ხელმოწერა ნანა ფირცხელანი